დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში

რეალობა, გამოწვევები და სტანდარტები



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში - რეალობა, გამოწვევები და სტანდარტები

(პირველადი კვლევა)

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2025

დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირი: თამთა მიქელაძე

მკვლევრები: ნათია კეკენაძე, თეონა ფირანიშვილი, ლელა ჯობავა

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

თარგმანი რუსულ ენაზე: როლანდ რაიკი

თარგმანი ინგლისურ ენაზე: ნანა გურგენიძე

ყდის დიზაინი: როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ნათია კეკენაძე, თეონა ფირანიშვილი, ლელა ჯობავა, „დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში - რეალობა, გამოწვევები და სტანდარტები“ (პირველადი კვლევა), 2025.*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge/
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

მეთოდოლოგია და მიზნები 4

სტატისტიკური მონაცემები..... 5

1. საერთაშორისო სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები..... 8

2. სოციალური გარიყულობა და პოლიტიკური მონაწილეობა 12

3. დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში 15

3.1. სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო 15

3.2. დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობის გამოცდილება და არსებული გამოწვევები - დაკვირვებები საველე კვლევიდან.....22

3.3. გალის რაიონის მოსახლეობის აღქმები პოლიტიკურ მონაწილეობაზე.....30

3.4. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები: არჩევნებში მონაწილეობა და დევნილთა მობილიზაცია/ დემობილიზაციის მიზეზები და პრაქტიკები 33

4. მთავარი მიგნებები 37

საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობა, გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა და არჩევნებში დაუბრკოლებლად მონაწილეობის უფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური პირობაა. თუმცა იძულებით გადაადგილებული პირების (შემდგომში დევნილების) სოციალური და უფლებრივი მოწყვლადობიდან გამომდინარე, პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი კიდევ უფრო მწვავე საჭიროებას წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ იძულებითი გადაადგილება ადამიანის უფლების დარღვევის უმძიმეს ფორმას წარმოადგენს, მისი თანმდევი შედეგები, როგორიც არის საკუთრების და შემოსავლის წყაროს დაკარგვა, პირად დოკუმენტაციაზე ხელმიუწვდომლობა, ოჯახის წევრებისგან და სოციალური წრისგან დაშორიშორება ნეგატიურ გავლენას ახდენს დევნილების ცხოვრებაზე და მთელი რიგი ფუნდამენტური უფლებების განხორციელებაზე.[1] მათ უჩნდებათ ლეგიტიმური და მკვეთრად გამოხატული ინტერესი გავლენა მოახდინონ იმ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებზე, რომელიც აისახება მათ სოციო-ეკონომიკურ ყოფაზე, თუ მათ დაბრუნებასა და უფლებების აღდგენასთან დაკავშირებულ მომავალზე.
ამის მიუხედავად, საქართველოში, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს (დაახლოებით 300 000-მდე ადამიანს) განცდილი აქვს დევნილობა, მათი პოლიტიკური მონაწილეობა და ჩართულობა საზოგადოებრივ საქმეებში ნაკლებად არის სახელმწიფოსგან პოზიტიური ჩარევის და რეაგირების საგანი, ეს პრობლემები პრაქტიკულად არ ხვდება პოლიტიკურ დღის წესრიგში და მწირია ამ თემის ირგვლივ ჩატარებული კვლევებიც.

წარმოდგენილი პირველადი კვლევის მიზანია შეისწავლოს და აღწეროს დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში, შეისწავლოს დევნილთა განწყობები და დამოკიდებულებები პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობებთან და სტრუქტურულ ბარიერებთან დაკავშირებით. დოკუმენტი ასევე აღწერს საერთაშორისო სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს, თუ როგორ უნდა იყოს უზრუნველყოფილი იძულებით გადაადგილებულ პირთა ეფექტიანი და სამართლიანი პოლიტიკური მონაწილეობა. აქვე ხაზგასასმელია, რომ გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში, როდესაც ვერ ხდება დევნილების დაბრუნება მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, ისინი მოკლებული არიან შესაძლებლობას ჩაერთონ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ პოლიტიკურ პროცესებში. მეტიც ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი და ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე არ არიან ჩართული ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში, დე-ფაქტო ორგანოების მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო. მოცემული კვლევა არ მიმოიხილავს პოლიტიკური მონაწილეობის უფლების ამ განზომილებას და შეზღუდულია მხოლოდ კონტროლირებად ტერიტორიაზე მონაწილეობის და ინტეგრაციის საკითხებით.

[1] Protecting Internally Displaced Persons: A Manual for Law and Policymakers, 2008, Brookings, University of Bern, 2.

კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ძირითადად თვისებრივი კვლევის მეთოდები: 1. სამაგიდე კვლევა საქართველოში დევნილთა საჭიროებების და ინტეგრაციის შესახებ; 2. დევნილთა ჩართულობის და მონაწილეობის შესახებ საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებისა და სტანდარტების მიმოხილვის მომზადება; 3 საველე სამუშაობი, რაც გულისხმობდა *გალის რაიონის 10 სოფელში (საბერიო, ლეკუხონა, დიხაზურგა, ჭუბურხინჯი, ნაბაკევი, თაგილონი, ოტობაია, გაგიდა, ზემო ბარღეფი და რეჩხში),* ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში *(ზუგდიდი, ქუთაისი, წყალტუბო, წეროვანი, თბილისი)* მცხოვრებ დევნილებთან სიღრმისეული ინტერვიუებისა და და საველე ჩანაწერების მომზადებას. კვლევის ფარგლებში მთლიანობაში ჩატარდა 78 სიღრმისეული ინტერვიუ (41 ქალი, და 37 კაცი). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-34 წლამდე ასაკის 31-მა რესპონდენტმა, 35-დან 59 წლამდე - 32-მა რესპონდენტმა და 60 წელს ზემოთ 15-მა რესპონდენტმა. რესპონდენტებისთვის დასმული კითხვები მოიცავდა საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის საჯარო და პირადი გამოცდილების საკითხებსა და მაგალითებს; დევნილებისთვის პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობებსა და გამოწვევებს; დევნილების პრიორიტეტული საჭიროებების იდენტიფიცირებას; არჩევნებში მონაწილეობის საკითხებს და ა.შ.

კვლევა წარმოადგენს პირველად ანალიზს და საქართველოში დევნილების პოლიტიკური მონაწილეობის/ინტეგრაციის უფრო სიღრმისეული კვლევის საფუძველს ქმნის, მათ შორის იმ საკითხების როგორიც არის განგრძობადი კონფლქტის და დევნილობის გავლენა პოლიტიკური მონაწილოების უფლებაზე და მისი ტრანსფორმაცია ინტეგრაციის პროცესის კვალდაკვალ, დევნილების იდენტობა და მისი კავშირი პოლიტიკური მონაწილეობის უფლების განხორციელებასთან, ინტეგრაციის პოლიტიკის პროგრესი და ამ კონტექსტში დევნილების დაბრუნების უფლების ანალიზი და სხვა. ამ საკითხების სიღრმისეული შესწავლა (მათ შორის საერთაშორისო სტანდარტების და დევნილებთან ფართო მასშტაბიანი (მათ შორის რაოდენობრივი) კვლევის საფუძველზე) საბოლოოდ მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ პოლიტიკური მონაწილეობის ხელშემწყობ რა მოდელზე და მიდგომებზე უნდა იმუშაოს სახელმწიფომ საზოგადოების ამ ჯგუფთან მიმართებაში.

სტატისტიკური მონაცემები

2023 წლის მონაცემებით, სულ რეგისტრირებული იყო 94 850 დევნილი ოჯახი, ჯამში 295 872 იძულებით გადაადგილებული პირი.[2] ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2024 წლის სექტემბერში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კი, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული ადამიანების რაოდენობა 298 307 პირს შეადგენს. აქედან, აფხაზეთიდან დევნილია 270 587 ადამიანი, ხოლო ცხინვალის რეგიონიდან 27720.[3]

[2] სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2023 წელი, გვ 323.

[3] ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2024 წლის 2 სექტემბრის წერილი #*MOH 6 24 00929659.*

დევნილთა საერთო რაოდენობა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დაახლეობით 8%-ს შეადგენს.

საქართველოს რეგიონების მიხედვით დევნილთა განსახლების სურათი ამდაგვარია:

	აფხაზეთიდან დევნილები	ცხინვალის რეგიონიდან დევნილები	ჯამურად
თბილისი	114332	3240	**117572**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	91653	95	**91748**
იმერეთი	29159	391	**29550**
შიდა ქართლი	9185	9824	**19009**
ქვემო ქართლი	11254	3529	**14783**
მცხეთა-მთიანეთი	1695	10299	**11994**
აჭარა	7810	39	**7849**
სამცხე ჯავახეთი	2450	24	**2474**
კახეთი	1600	261	**1861**
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	756	3	**759**
გურია	694	12	**706**
სულ	270587 53% ქალი 47% კაცი	27720 50.3% ქალი 49.7% კაცი	**298307**

როგორც ცხრილიდან ირკვევა, დევნილთა ყველაზე დიდი რაოდენობა ცხოვრობს თბილისში (117572 პირი - 39.5%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (91748 – 30.7%).

საქართველოს მასშტაბით არსებობს დევნილთა 1211 კომპაქტური დასახლება, სადაც ცხოვრობს 126 235 დევნილი (38 420 ოჯახი), რაც შეადგენს დევნილების საერთო რაოდენობის 41%-ს.[4] საქართველოს კანონმდებლობაში არ არის განმარტებული თუ რას

[4] ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2024 წლის 3 სექტემბრის MOH 6 24 00929659 წერილი.

ნიშნავს კომპაქტური დასახლება. გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს განმარტებას თუ დავეყრდნობით, კოლექტიური დასახლება არის იძულებით გადაადგილებული პირებისთვის დროებითი გამოსავალი, სადაც ოჯახების გარკვეული რაოდენობა იზიარებს საერთო სივრცეებს. კოლექტიური ცენტრების იდეა თავის თავში მოიაზრებს იმ მიზანს, რომ დევნილებმა შემდგომში მიიღონ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. დევნილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ დევნილების საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარი დღემდე კოლექტიურ/კომპაქტურ დასახლებაში ცხოვრობს, თუმცა როგორ განმარტავს სახელმწიფო ამ ტერმინს და რა სტანდარტით ხელმძღვანელობს ამ სტატუსის მინიჭების პროცესში უცნობია. სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციით ირკვევა, რომ ზოგიერ დასახლებაში ცხოვრობს 1 ოჯახი (მაგალითად: თბილისში, გლდანში ხელოვნების სახელი) ან ათეულობით და ასეულობით ოჯახი (მაგალითად: ბათუმში, აფხაზეთის ქუჩა).

სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშის მიხედვით, 54862 დევნილ ოჯახს სახელმწიფომ უკვე მისცა გრძელვადიანი საცხოვრებელი, ხოლო 51845 ოჯახი ისევ განსახლების მოლოდინშია.[5] ამავე ანგარიშის მიხედვით სიცოცხლისთვის მომეტებულად საშიშ 29 ობიექტში ჯერ კიდევ 506 ოჯახი ცხოვრობს და წინა წელთან შედარებით ამ ობიექტებიდან განსახლებული ოჯახების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. სახალხო დამცველის რეკომენდაცია 2022 წელს (როცა საშიშ ობიექტებში მცხოვრებ ოჯახთა რაოდენობა იყო 716) იყო რომ განსახლებულიყო მინიმუმ 550 ოჯახი, თუმცა მხოლოდ 210 ოჯახის განსახლება მოხდა. 2018-2023 წლებში დაიხურა 180-ზე მეტი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი, ნგრევადი და/ან საცხოვრებლად უვარგისი ობიექტი და განსახლდა 2200-ზე მეტი ოჯახი.[6] დევნილთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სახელმწიფო გეგმავს ყველა კოლექტიური ცენტრის მათ შორის საფრთხის შემცველი ობიექტის სახურვას 2026 წლამდე, რადგან 2023 წელს დაიწყო მრავალბინიანი კორპუსების მშენებლობა, სადაც იგეგმება 6000 დევნილი ოჯახის განსახლება.

ასევე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით გალის რაიონში იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) სტატუსი აქვს 84 895 პირს, ხოლო ახალგორში 8 152 პირს. თუმცა ცხადია გალის რაიონში და ახალგორის რაიონში დღეს მცხოვრები პირების რაოდენობა ბევრად ნაკლებია, და როგორც მედია წყაროები და ადგილობრივები ხშირად უთითებენ, მოსახლეობის რაოდენობა ამ რაიონებში მუდმივად მცირდება. საქართველოს სტატისტიკის სამსახური მოსახლეობის აღწერას ოკუპირებულ რეგიონებში არ ახდენს, თუმცა დაუზუსტებელი ინფორმაციით, გალის რაიონში დღეს დაახლოებით 22.000 -25.000 ადამიანი ცხოვრობს.

[5] სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2023. გვ 323.

[6] ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2024 წლის 3 აპრილის MOH 5 24 00383933 წერილი.

გალის რაიონის დე-ფაქტო ადმინისტრაციის უფროსის განცხადებით, გალის რაიონში აფხაზური პასპორტი 1130 ადამიანს აქვს, 21500-მდე ადამიანს აქვს ბინადრობის მოწმობა.[7]

1. საერთაშორისო სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

საერთაშორისო სტანდარტები და სახელმძღვნელო პრინციპები, რომელიც იძულებით გადაადგილებული პირების (დევნილების) პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებს უკავშირდება გამომდინარეობს ადამიანის უფლებების, დისკრიმინაციის აკრძალვის და თანასწორობის პრინციპებიდან. რეგიონულ და გლობალურ დონეზე დევნილების პოლიტიკურ უფლებებს არაერთი ინსტრუმენტი ითვალისწინებს, რომელიც მათ შორის მოიცავს დევნილების უფლებას მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, იყვნენ ხელმძღვანელ პოზიციებზე ადმინისტრაციულ ორგანოებში, ჩართული იყვნენ საჯარო ცხოვრებაში.

ამ ინსტრუმენტებს შორის პირველ რიგში მხედველობაშია მისაღები გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები დევნილების უფლებებთან დაკავშირებით (1998). ეს არის სამართლებრივად არასავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტი, თუმცა ის ერთგვარი კომპილაციაა ადამიანის უფლებათა სამართლის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და საერთაშორისო სისხლის სამართლის იძულებით გადაადგილების კონტექსტში და ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც კომპლექსურად აღწერს დევნილების უფლებებს. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს შორის არის 22-ე პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს დევნილების უფლებას თავისუფლად და თანასწორად იყვნენ ჩართული სათემო საქმიანობაში, ასევე უფლებებს, რომელიც უკავშირდება ხმის მიცემისა და საჯარო და სახელმწიფო საქმეებში ჩართულობის საკითხს. გარდა ამისა, ეს პრინციპი ითვალისწინებს რომ დევნილებს ხელი მიუწვდებოდეთ ამ უფლებით სარგებლობისთვის საჭირო ინსტრუმენტებზე.[8]

დევნილების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფლებრივი საკითხია და ის სახელმწიფოს მხრიდან კეთილი ნების გამოხატვად არ უნდა იქნეს აღქმული. ის იმ უფლებებს შორის შედის, რომელიც დევნილების სხვა უფლებების დაცვის შესაძლებლობას ქმნის. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა სამ ძირითად დაშვებას ეფუძნება: პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ საჯარო ცხოვრებაში და პოლიტიკაში დევნილების მონაწილეობის უფლება გამოხატვის თავისუფლების და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის ფუნდამენტური უფლებების ნაწილია, განსაკუთრებით მაშინ, როცა კონკრეტული გადაწყვეტილებები და პროცესები ამ კონკრეტულ ჯგუფზე ახდენს გავლენას (სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი, მუხლი 19 და 25); მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დევნილების მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ მიმართ ქმედითი და

[7] გალის რაიონიდან მოსახლეობის გადინების მხრივ მძიმე სიტუაციაა - ფილია, მარტი, 2024. რადიო ათინათი. ხელმისაწვდომია: https://www.radioatinati.ge/regioni/article/84550-galis-raionidan-mosakhleobis-gadinebis-mkhriv-mdzime-situaciaa-filia.html

[8] გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები, პრინციპი 22.

სამართლიანი პოლიტიკის საფუძველი გახდება, რადგან თავად დევნილებმა უკეთ იციან საკუთარი საჭიროებები და სახელმწიფოს პოლიტიკა სწორედ მათ გამოცდილებებს უნდა ეფუძნებოდეს; მესამე, აშკარაა, რომ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დევნილების მონაწილეობა ამცირებს სხვაზე (სახელმწიფოზე, ჰუმანიტარულ ორგანიზაციებზე და ა.შ.) დამოკიდებულებასა და მარგინლიზაციის განცდას და ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესს.

დევნილთა ჩართულობა პოლიტიკური მონაწილეობის ისეთი ფორმებში როგორიცაა ინფორმირებულობა, კონსულტაცია, და მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ხოლმე ორ კონტექსტში: (1) გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კანონმდებლობის და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნის დროს; 2) ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციულ დონეზე ორგანიზებისა და სხვა პრაქტიკული ზომების მიღების დროს.[9]

გარდა ამისა, ევროპის საბჭოს 2006 წლის რეკომენდაციები იძულებით გადაადგილებული პირების უფლებრივ საკითხებთან დაკავშირებით უთითებს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დევნილების ხმის მიცემის უფლების რეალიზება დაბრკოლებების გარეშე; ამასთანავე, დევნილები უნდა იყვნენ დაუყონებლივ ინფორმირებულები და მათთან უნდა ჩატარდეს კონსულტაციები ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ, რაც გავლენას ახდენს მათ მდგომარეობაზე, დევნილობის პერიოდში ან მის შემდეგ.[10]

ევროპის საბჭოს რეკომენდაციების თანახმად, საკანონმდებლო და პოლიტიკის დოკუმენტების მიღების დროს დევნილთა მონაწილეობის პროცესებს განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს დევნილთა სპეციფიკური საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოგროვება, რომელიც გათვალისწინებული იქნება პოლიტიკის დაგეგმვისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში;

როდესაც კონკრეტული სახელმწიფო ორგანო გეგმავს დევნილებთან კონსულტირებას, თუ მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ოპერაციულ დონეზე, მან უნდა გაითვალისწინოს 1) დევნილების მონაწილეობის ფიზიკური შესაძლებლობები; 2) მათი მანდატი, ექსპერტიზა და თემთან ურთიერთობის დონე; 3) მონაწილე პირების სანდოობა და აღიარება დევნილთა თემში, როგორც მათი წარმომადგენლების.

გარდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობისა და კონსულტაციების ვალდებულებისა, დევნილი მოსახლეობის არჩევნებში დაუბრკოლებელი მონაწილეობის შესაძლებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათი პოლიტიკური მონაწილეობის დონეზე. ამ მხრივ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ელემენტების გათვალისწინება:[11]

---

[9] Protecting Internally Displaced Persons: A Manual for Law and Policymakers, 2008, Brookings, University of Bern, 33.

[10] https://rm.coe.int/16806b5aaf

[11] Protecting Internally Displaced Persons: A Manual for Law and Policymakers, 2008, Brookings, University of Bern, 207.

- დევნილები ჩართული უნდა იყვნენ არჩევნების მართვის პროცესში;
- იძულებით გადაადგილების კონტექსტში საჭირო საარჩევნო ცვლილებებზე და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაზე დევნილებთან უნდა იმართებოდეს კონსულტაციები;
- დევნილებისთვის ხმის მიცემის შესაძლებლობა იმ ადგილზე, სადაც ისინი იძულებით არიან გადაადგილებული.
- საარჩევნო სიების რეგისტრირებისას, უნდა იყოს გათვალისწინებული დევნილების დაბრუნების შესაძლებლობების შენარჩუნება;
- საარჩევნო უბნების ხელმისაწვდომობა დევნილებისთვის.

დევნილების არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და სამართლებრივ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს იმ სცენარების მიხედვით, რა კონტექსტებიც კონფლიქტის შემდეგ შეიქმნა დევნილებისთვის. ამ კუთხით ლიტერატურაში სამ მთავარ სცენარს გამოყოფენ:

1) იძულებით გადაადგილებულ პირებს არ შეუძლიათ დაბრუნება, მაგრამ სახელმწიფო, სადაც ეს კონფლიქტი მოხდა, ინარჩუნებს კონტროლს მთელს ტერიტორიაზე;
2) ხელისუფლებას დაკარგული აქვს კონტროლი მისი ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე, საიდანაც დევნილები არიან იძულებით გადაადგილებულნი;
3) კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული მდგრადი გადაწყვეტილების მიღების კონტექსტში (როდესაც დევნილებს აქვთ დაბრუნების შესაძლებლობა მათი წარმოშობის ადგილას) უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ დევნილებს არავინ უნდა აიძულოს დაბრუნება ხმის მიცემის მიზნებისთვის იმ ადგილას, საიდანაც არის გადაადგილებული; დევნილს უნდა შეეძლოს ხმა მისცეს მისი წარმოშობის ადგილას; დევნილს ადგილზე ჩასვლის გარეშე უნდა შეეძლოს არჩევნებში მონაწილეობა მისი წარმოშობის ადგილას (absentee balloting) ეს სცენარი გულისხმობს ისეთ ვითარებას, როდესაც დევნილს შეუძლია დაბრუნება (მაგალითად სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე) და რეალური დაბრუნება უფრო გვიან ხდება ვიდრე დაგეგმილი იყო, ან დევნილი ვეღარ აკმაყოფილებს მისი წარმოშობის ადგილას არჩევნებისთვის საჭირო რეგისტრაციის პირობებს. ასეთ შემთხვევებში საარჩევნო პირობების მოქნილობა მნიშვნელოვანია, იმისათვის რომ ყველა მოქალაქეს შეეძლოს მონაწილეობის მიღება არჩევნებში, მიუხედავად იმისა რეალური დაბრუნება დაგეგმილზე უფრო ადრე, თუ დაგვიანებით მოხდება.

პირველი და მეორე სცენარის შემთხვევაში, როცა კონფლიქტი განგრძობადია და დევნილების დაბრუნების პერსპექტივები არ იკვეთება, არარეალისტურია იმაზე მსჯელობა, თუ როგორ უნდა მიიღონ დევნილებმა მონაწილეობა არჩევნებში მათი წარმოშობის ადგილას. ამ შემთხვევაში დევნილებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა თავიდან დარეგისტრირდნენ იმ ადგილას, სადაც არიან იძულებით გადაადგილებული და არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ მათ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დევნილებს აქვთ გადაადგილების სრული თავისუფლება და შეუძლიათ საცხოვრებელი ადგილიც თავისუფლად აირჩიონ, ამიტომ ხმის მიცემის შესაძლებლობა არ უნდა იყოს მკაცრად დამოკიდებული მათ ფაქტობრივ მისამართზე. აქედან გამომდინარე მათ დროებით რეგისტრაცია უნდა შეეძლოთ იმ ადგილას, სადაც ცხოვრობენ და ამასთანავე უნდა შეეძლოთ გადარეგისტირება მათი წარმოშობის ადგილას, დაბრუნების შემთხვევაში. მეორე სცენარის შემთხვევაში, (როცა სახელმწიფო არ ახორციელებს კონტროლს დევნილთა წარმოშობის ადგილზე) დევნილებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აირჩიონ დევნილობაში მყოფი ხელისუფლებები/წარმომადგენლები, თუმცა ეს არ უნდა გამორიცხავდეს მათ იმ არჩევნებში მონაწილეობას, სადაც ისინი ფაქტობრივად ცხოვრობენ (ან ეროვნული არჩევნებიდან), რადგან განგრძობადი დევნილობის კონტექტში მათი ჩართულობა იმ არჩევნებში, სადაც ისინი ცხოვრობენ, მნიშვნელოვანია.[12] აქვე ხაზგასასმელია, რომ განგრძობადი დევნილობის კონტექსტში ხშირად ჩნდება კითხვები დევნილების არჩევნებში მონაწილეობასთან და მათი რეგისტრაციის ადგილთან დაკავშირებით, რაც დევნილის სტატუსის გაუქმებას შეიძლება იწვევდეს. ამგვარ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ დევნილის მიერ მისი პოლიტიკური უფლებებით სარგებლობა არ უნდა გამორიცხავდეს შესაბამისი პირობების დადგომის შემთხვევაში მისი ნებაყოფლობითი დაბრუნების შესაძლებლობას.[13] მაგალითად, საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების ადრეულ ფაზაში, იძულებით გადადგილებულ პირებს შეეძლოთ მიეღოთ სახელმწიფოსგან დახმარება, თუ ისინი კანონის შესაბამისად ფლობდნენ დევნილის სტატუსს, მაგრამ ამ სტატუსის ქონის შემთხვევაში მათ არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ ადგილობრივ (მუნიციპალურ) არჩევნებში (1998 წლის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის -საკრებულოს არჩევნების შესახებ, მუხლი 36). დევნილებს უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ეროვნულ საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული წესით პარლამენტის იმ წარმომადგენლელის არჩევაში, რომელბიც დევნილობაში იმყოფებოდნენ (1995 წლის ორგანული კანონი საპარლამენტი არჩევნების შესახებ, მუხლი 33). თუმცა დევნილებს ასევე შეეძლოთ ხელახალი რეგისტრაცია გაევლოთ მათი გადაადგილების ადგილას, რაც გულისხმობდა დევნილის სტატუსზე უარის თქმას, რაზეც ასევე არსებობდა წუხილი, რომ დაბრუნების პერსპეტივაში ხელის შემშლელი შეიძლება ყოფილიყო. ამის გათვალისწინებით, 2003 წელს პარლამენტმა შეცვალა კანონი, რომლის საფუძველზეც დევნილებს საპარლამენტო (ეროვნულ დონეზე) და თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ, დევნილის სტატუსიის და მუდმივი რეგისტრაციის ადგილის გაუქმების გარეშე.[14]

საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვისას მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ბრუკინგს ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტი დევნილებისთვის მდგრადი

---

[12] Protecting Internally Displaced Persons: A Manual for Law and Policymakers, 2008, Brookings, University of Bern, 210.

[13] იგივე.

[14] Erin Mooney, Balkees Jarrah, *The voting rights of Internally Displaced People, The OSCE region*, Occasional Paper (Brookings Institute – John Hopkins SAIS project on Internal Displacement, November, 2004) 32-38.

გამოსავლების შექმნასთან დაკავშირებით (Durable Solutions for IDPs).[15] ამ ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, დევნილებისთვის მდგრადი გამოსავალი მაშინ მიიღწევა, როდესაც აღარ იარსებებს მათი დახმარების და დაცვის სპეციალური საჭიროება, რაც დევნილობიდან გამომდინარეობს. ეს გულისხმობს, რომ მიღწეულია მათი დაბრუნების მიზანი. ან ისინი ინტეგრირებული არიან ფიზიკური ადგილსამყოფელის ადგილას (ლოკალური ინტეგრაცია). ადგილობრივი/ლოკალური ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი კი არის საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა. **ამგვარი ინტეგრაციის პროგრესის შესამოწმებლად კი შემოთავაზებულია შემდეგი ინდიკატორები.**

- დევნილებს არ აქვთ განსაკუთრებული სამართლებრივი ან ადმინისტრაციული ბარიერები (ისეთი ბარიერები რასაც სხვა არადევნილი მოქალაქეები არ აწყდებიან), ხმის მიცემის, ან არჩევნებში კანდიდატად დადგომის პროცესში ან საჯარო სამსახურში მონაწილეობის თვალსაზრისით.
- არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე დევნილების რამდენი პროცენტი იღებს მონაწილეობას, და მათი შედარება ზოგად (ქვეყნის მასშტაბით) მონაცემებთან.
- საჯარო სამსახურში დასაქმებული ან არჩევით ორგანოებში წარმოდგენილი დევნილების პროცენტული მაჩვენებლი.[16]

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ დევნილების უფლებებზე, და მათ შორის პოლიტიკურ მონაწილეობაზე/ინტეგრაციაზე, სამართლებრივად სავალდებულო ჩანაწერები საერთაშორისო უფლბებრივ ინსტრუმენტებში უფრო ზოგადი ხასიათისაა, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, კვლევები და სახელმძღვანელო პრინციპები სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლის შეიძლება აღმოჩნდეს, განსაკუთრებით განგრძობადი დევნილობის კონტექსტში, სადაც სახელმწიფო პოლიტიკა და მიდგომები შესაბამის ადაპტირებას მოითხოვს.

2. სოციალური გარიყულობა და პოლიტიკური მონაწილეობა

სოციალური გარიყულობა გულისხმობს იმ პროცესთა ერთობლიობას, რომლის შედეგადაც ინდივიდები ან ჯგუფები სისტემურად არიან მარგინალიზებულები საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესებიდან.[17] სამეცნიერო ლიტერატურა სოციალური გარიყულობის თეორიებს განიხილავს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური

[15] IASC Framework on Durable Solutions for Internally Displaced Persons. 2010. ხელმისაწვდომია https://interagencystandingcommittee.org/sites/default/files/migrated/2021-03/IASC%20Framework%20on%20Durable%20Solutions%20for%20Internally%20Displaced%20Persons%2C%20April%202010.pdf

[16] იგივე, გვ 42.

[17] Silver, H. (2015). The contexts of social inclusion (DESA Working Paper No. 35). New York: United Nations,Department of Economic and Social Affairs.

და პოლიტიკური დისფუნქციის პრიზმიდან. ამ „ქოლგა“ თეორიის ქვეშ სოციალური გარიყულობა წარმოდგენილია, როგორც მთელი რიგი ინსტიტუციონალური და სოციალური ბარიერების შედეგი.

საჯარო ცხოვრებაში/ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა ცენტრალური საკვლევი საკითხია საზოგადოების კონკრეტული ჯგუფების სოციალური გარიყულობის მასშტაბებისა, თუ მიზეზების შესწავლაში. საკუთარი საჭიროებების პოლიტიკურ დღის წესრიგში მოხვედრა ერთდროულად ქმნის ზემოთ აღნიშნული ბარიერების დაძლევის შესაძლებლობას.

სოციალური გარიყულობა როგორც თეორია ადრეულ 1970-იან წლებში საფრანგეთში ჩამოყალიბდა. თავდაპირველად იგი „სოციალური სოლიდარობის“ საპირისპირო კონტექსტში გამოიყენებოდა, როგორც პოლიტიკური, კულტურული და მორალური სოლიდარობის ანტონიმი.[18] დღესდღეობით კი, როგორც სამეცნიერო წრეებში, ისე საჯარო პოლიტიკაში, სოციალური გარიყულობა წარმოდგენილია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სივრცითი თუ სხვა უთანასწორობების ასახსნელად. „[...] სოციალური გარიყულობა ეს პოლიტიკური მონაწილეობის, სოლიდარობისა და უფლებებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობაა“[19] თეორიის პოპულარობა და მის ირგვლივ დისკუსიები რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული. პირველი ეს იყო დასავლურ სახელმწიფოებში არსებული ღრმა ეკონომიკური და სოციალური კრიზისები, რომლის ემპირიულმა შესწავლამაც მეცნიერები დაარწმუნა, რომ ადამიანების მოწყვლადობა მხოლოდ ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებული არ არის. პრეკარიაციული შრომის, სამუშაო ბაზრების სეგმანტაციის, მიგრაციის ზრდამ, ადამიანის უფლებების რღვევამ და სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობის შემცირებამ, ახლებურად დაანახა მეცნიერებს სხვადასხვა ჯგუფების მარგინალიზაციის მიზეზები. როგორც სილვერი წერს, სოციალური გარიყულობის მასშტაბები და მიზეზები სხვადასხვა საზოგადოებაში თვისებრივად განსხვავებულ მახასიათებლებს ატარებს.[20]

ვინაიდან სივრცეები საკუთარი ისტორიებით, კულტურით, იდენტობით, ინსტიტუციონალური, თუ სოციალური სტრუქტურებით გავლენას ახდენს მიკუთვნებულობაზე და მოქალაქობის განცდაზე. სილვერის მიერ წარმოდგენილი სოციალური გარიყულობის მიზეზები ახლებურ გადააზრებას საჭიროებს იძულებით გადაადგილებული პირების შესწავლის კონტექსტშიც, რა დროსაც სოციალური ინკლუზიის საპირისპიროდ, სახეზეა, სოციალური გარიყულობა - არა მხოლოდ

---

[18] Williams, F. (1998). Agency and structure revisited: Rethinking poverty and social exclusion. In M. Barry & S.Hallett (Eds.), Social exclusion and social work: Issues of theory and practice (pp. 13—32). Lyme Regis:Russell House.

[19] Silver, H., & Miller, M. (2003). Social exclusion: The European approach to social disadvantage. Indicators, 2(2),1—17.

[20] Silver, H. (2007). The process of social exclusion: The dynamics of an evolving concept (CPRC Working PaperNo. 95). Manchester: IDPM/Chronic Poverty Research Centre.

სიღარიბის, არამედ, სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური უფლებების დარღვევის სახით, სადაც გარიყულობის მასშტაბები დემოკრატიული და სამართლებრივი, შრომის, კეთილდღეობის სისტემების, ოჯახისა და თემის განზომილებაშიც კი გვხვდება. ამ ჩამონათვალს მოგვიანებით ჩიმინი დაუმატებს მძიმე ფსიქო-სოციალურ გარემოებებსაც, რომელიც სოციალურ გარიყულობის უფრო ხილვადს ხდის.[21] როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ კონტექსტში ნაკლულია დევნილთა სოციალური გარიყულობის შესწავლა მათი პოლიტიკური და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის კონტექსტში. სამეცნიერო ლიტერატურა ლიმიტირებულია და შემოფარგლულია მხოლოდ დევნილთა არჩევნებში მონაწილეობისა და ხმის მიცემის შესწავლით.

დევნილთა სოციალური გარიყულობის შესწავლა სამ განზომილებაშია შესაძლებელი, (i) სოციალური განზომილება, რომელიც გულისხმობს ისეთ სერვისებზე ხელმისაწვდომობას, როგორიც არის საცხოვრისი, განათლება, ჯანდაცვა, სოციალური და კულტურული ინტეგრაცია; (ii) პოლიტიკური განზომილება ასახავს პოლიტიკურ და საჯარო მონაწილეობის შესაძლებლობებს; (iii) ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა.

გარიყულობა ნათლად ჩანს მაშინ, როდესაც სახელმწიფოები ინტეგრაციის, სოციალური დაცვისა და სოციალური ინკლუზიის მიმართულებით პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ. დევნილების სოციალური ინკლუზია ხშირად გრძელვადიანი და კომპლექსური პროცესია, რომელიც მოიცავს ისეთ სამართლებრივ ასპექტებს, როგორიც არის სტატუსი და საცხოვრებლის უფლებები, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, სოციალური ინტეგრაცია და სრული მონაცილეობა სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.[22]

სოციალური გარიყულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად მიჩნეულია კოლექტიური საცხოვრებელი დასახლებები, რომელშიც დევნილთა პირველი და შემდგომ რამდენიმე თაობები ერთად ცხოვრობენ. მიტოვებული შენობები, თუ ყოფილი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ადგილობრივების აღმიქით დევნილების, როგორც მათთვის „უცხო“ , „სხვა“ ადამიანების მიერ მისაკუთრდა, სახელმწიფო, თუ საერთაშორისო ორგანიზაციები კი ამ აღქმების პარალელურად, კონცენტრირებული იყო მეტწილად ეკონომიკური გამოწვევების შემცირებასა და ჰუმანიტარული სერვისების შეთავაზებაზე. სოციალური გარიყულობის ეს სურათი პოლიტიკური მონაწილეობის გამოწვევებსაც აშიშვლებს.[23] განსაკუთრებით მაშინ, თუ კოლექტიური დასახლებები ახალი საცხოვრებელი ბინებით ნაცვლდება, სადაც დევნილთა ოთახები, საცხოვრებელი კორპუსები, სამეზობლოები ისეა მოწყობილი, რომ დევნილთა საჭიროებები არ არის გაზიარებული.[24]

---

[21] Chimni, B. S. (2003). Post-conflict peace-building and the return of refugees: Concepts, practices and institutions.In E. Newman & J. van Selm (Eds.), Refugees and forced displacement: International security, human vul-nerability, and the state (pp. 195— 221). New York, NY: United Nations University Press.

[22] *Nemanja Džuverović & Jelena Vidojević (2017): Peacebuilding or 'Peacedelaying': Social Exclusion of Refugees and Internally Displaced Persons in Post-war Serbia, Ethnopolitics, pg 8.*

[23] იგივე

[24] Otruba, A. (2020). No woman's land: Risking detention along the South Ossetian administrative boundary line. ResearchGate.

3. დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში

3.1. სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო

დევნილების პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში დე იურე და დე ფაქტო რეალობად იყოფა. ერთის მხრივ არსებობენ კონფლიქტის რეგიონებთან დაკავშირებული დე-იურე ორგანოები, რომლებიც წარმოადგენენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკას და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციას. მეორეს მხრივ, დე-ფაქტო, დევნილებს საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის შესაძლებლობა მხოლოდ კონტროლირებად ტერიტორიაზე აქვთ, და მათი დე-იურე პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი გაყინულია იმ დრომდე სანამ კონფლიქტი არ მოგვარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს არ შეუძლიათ აირჩიონ ის დე-იურე წარმომადგენლობითი ორგანოები, რომლებიც არსებობას განაგრძნობენ კონტროლირებად ტერიტორიაზე და თავის მხრივ დევნილობაში მყოფი მთავრობები/წარმომადგენლობითი ორგანოები არიან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო.[25] თავის მხრივ აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ნიშნავს აფხაზეთის მთავრობას.[26] ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 24 თებერვლის №662 და 1995 წლის 14 ივნისის №759 დადგენილებების შესაბამისად, 1991 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში და 1992 წელს აფხაზეთიდან საქართველოს პარლამენტში არჩეული შესაბამისი წევრებით. 1996 წელს საქართველოს პარლამენტმა არალეგიტიმურად გამოაცადა 1996 წლის 23 ნოემბრს აფხაზეთში ჩატარებულია ე.წ. არჩევნები. გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია და შეუძლებელია იქ თავისუფალი არჩევნების ჩატარება, საქართველოს პარლამენტმა დაადგინა, რომ უმაღლეს საბჭოს გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა, საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივ აღდგენამდე.[27] ეს გულისხმობს, რომ დევნილ მოსახლეობას დღემდე არ შეუძლია აირჩიოს მათი დე იურე წარმომადგენლობითი ორგანო. რაც შეეხება დევნილების დე-ფაქტო მონაწილეობას ამ

---

https://www.researchgate.net/publication/346541398_No_WoMan%27s_Land_Risking_Detention_Along_the_South_Ossetian_Administrative_Boundary_Line/figures?lo=1&utm_source=google&utm_medium=organic

[25] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 93. ხელმისაწვდომია http://scara.gov.ge/ka/2010-03-17-12-48-03/2010-03-17-13-48-11.html

[26] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილების და საქმიანობის წესის შესახებ.

[27] საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ, 1996 წლის 25 დეკემბერი.

უწყებების საქმინობაში, არც უმაღლესი საბჭოს და არც მთავრობის დონეზე მონაწილეობითი ფორმალური მექანიზმები არ არსებობს.

მსგავსი მოცემულობაა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შემთხვევაშიც, რომელიც პრეზიდენტის 2007 წლის მაისის ბრძანებულებით შეიქმნა. ამ ბრძანებულების მიხედვით ყოფოლი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციის ფუნქციებია: საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ავტონომიური სტატუსის განსაზღვრისა და ფართო პოლიტიკური თვითმმართველობის მინიჭების მიზნით, ადგილობრივი პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების სახელით მოლაპარაკების წარმოება საქართველოს ხელისუფლებასთან; ასევე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მიზნით შესაბამისი პირობების მომზადება; ამ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისა და ეთნიკური ჯგუფების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი ინტერესების დაცვა; ადგილობრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ხელშეწყობა, დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება; სხვადასხვა სფეროში სახელმწიფო პროგრამების განხორციელება. აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელს ნიშნავს პრემიერ მინისტრი და ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამჟამინდელი ხელმძღვანელი - თამაზ ბესტაევი, 2022 წელს დაინიშნა და ჩაანაცვლა დიმიტრი სანაკოევი, რომელიც მანამდე 16 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა დროებით ადმინისტრაციას.[28]

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მონაწილეობას იღებს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებშიც, თუმცა მისი მანდატის მიუხედავად, ამ ერთეულის პოლიტიკური აქტივობა და პოზიციები პრაქტიკულად უჩინარია და და გაუგებარია მისი ჩართულობა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოლაპარაკებების პროცესებში.

გარდა ამისა, ახალგორის, ერედვის, ქურთის, თიღვის და აჟარის მუნიციპალიტეტებში 2006 წელს არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოები (მათ შორის გამგეობა, თვითმმართველი ტერიტორიული ორგანოები) განაგრძობენ უფლებამოსლების შესრულებას ამ მუნიციპალიტეტებში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე და კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებამდე. აღნიშული მუნიციპალიტეტების ორგანოები კონტროლირებად ტერიტორიაზე იმ ადგილებში ახორციელებენ მათზე დელეგირებულ უფლებასმოსილებას, სადაც ამ მუნიციპალიტეტიდან დევნილი მოსახლეობა ცხოვრობს.[29] დელეგირებულ უფლებამოსილებებში შედის მხოლოდ ის ღონისძიებები, რომელიც პირდაპირ

[28] სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი თანამდებობას ტოვებს, რადიო თავისუფლება, 2022. https://www.radiotavisupleba.ge/a/32082141.html

[29] დევნილთა საჭიროებების კვლევა ზუგდიდში, ფოთში, წყალტუბოში, გორსა და თეთრიწყაროში. 2023. გვ. 13.

უკავშირდება აღნიშნულ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებამდე მათთვის დახმარების გაწევას, და სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამყოფ ხაზთან დევნილთა დასახლებებში მცხოვრები დევნილები ხშირად აღნიშნავენ იმ ადმინისტრაციულ ბარიერებს რასაც აწყდებიან მუნიციპალურ ორგანოებთან ურთიერთობის დროს, რადგან ხშირად დე-იურე და დე-ფაქტო ორგანოებს შორის კომპეტენციები მკვეთრად გამიჯნული არ არის და ხშირია ერთი ორგანოდან მეორეზე გადამისამართების შემთხვევები, განსაკუთრებით ადგილობრივ ინფრასტრუქტურას და სოციალური მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამებთან დაკავშირებით.[30]

დღევანდელი საარჩევნო საკანონმდებლო მოცემულობით, დევნილებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, როგორც ეროვნულ, ისე თვითმმართველობის დონეზე, მათი დროებითი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით. საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მიხედვით, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან კანონით დადგენილი წესით, შედიან ამომრჩეველთა ერთიან სიაში. დევნილების შემთხვევაში, რადგან ისინი რეგისტრირებული არიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კანონი მათ საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში იმ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის მიხედვით, რაც დევნილის სტატუსისის მიღების დროს მიენიჭათ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. აღნიშნული ფაქტობრივი მისამართის გარეშე, დევნილები ვერ მოხვდებიან ამომრჩეველთა ერთიან სიაში, რადგან მათი ოფიციალური რეგისტრაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზეა. იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონი არ განსაზღვრავს უნდა გაუუქმდეს თუ არა პირს მანამდე მინიჭებული ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი, თუკი მან რაიმე მიზეზით დაკარგა დევნილის სტატუსი, მაგალითად პირადი განაცხადის საფუძველზე, ან ვერ მოასწრო სავალდებულო რეგისტრაციისთვის გათვალისწინებულ დროში დევნილის სტატუსის მიღება (ასეთი ბოლო სავალდებულო რეგისტრაცია 2013 წელს ჩატარდა) და შემდეგ არ მიმართა სააგენტოს სტატუსის აღდგენის მიზნით. თუმცა როგორც პრაქტიკაში გამოვლინდა, სააგენტო ცენრალურ საარჩევნო კომისიას აძლევს მხოლოდ იმ დევნილების სიას, რომელსაც აქტიური აქვთ დევნილის სტატუსი, შესაბამისად, პირები ვინც დაკარგეს ეს სტატუსი, ერთიან ამომრჩეველთა სიაში შესაძლოა ვერ მოხვდნენ. ასეთი ბარიერი მიმდინარე არჩევნების დროს შეექმნათ იმ დევნილებს, რომლებიც წლებია ცხოვრობენ საზღვარგარეთ და დევნილის სტატუსი არ აქვთ აღდგენილი.[31]

ხაზგასასმელია, რომ დევნილებისთვის მუდმივი საცხოვრებელი მისამართის შენარჩუნებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. მათი

---

[30] გასაუბრება დევნილ მოსახლეობასთან წეროვნის და შავშების დევნილთა დასახლებებში, 2024 წლის მაისი.

[31] საგანგაშოა, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები დევნილების საარჩევნო უფლება ირღვევა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2024. ხელმისაწვდომია https://socialjustice.org.ge/ka/products/sagangashoa-rom-sazghvargaret-mtskhovrebi-devnilebis-saarchevno-ufleba-irghveva

დაბრუნების პერსპექტივისთვის. აღნიშნული რეგისტრაციის შენარჩუნება მნიშვნელოვანი იურიდიული საფუძველი შეიძლება გახდეს მომავალში. ამიტომ ფაქტობრივი მისამართების შენარჩუნება დევნილობის პერიოდში ხმის მიცემის უფლების შენარჩუნებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მათ შორის, იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ფაქტობრივად საქართველოში აღარ ცხოვრობენ და ემიგრაციაში იმყოფებიან. ისინი სახელმწიფომ თანაბარ პირობებში უნდა მოაქციოს, საქართველოს სხვა მოქალაქეების მსგავსად, რომლებიც არ არიან ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილები და იმყოფებიან საზღვარგარეთ ემიგრაციაში.

დევნილთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული მთავარი ნორმატიული ჩარჩო არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი. კანონის გაცხადებული მიზანია დაარეგულიროს დევნილთა სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევის და აღდგენის წესი და პროცედურები, ასევე განსაზღვროს დევნილთა უფლება-მოვალეობები და მათი სამართლებრივი, ასევე სოციო-ეკონომიკური გარანტიები. კანონი ერთ-ერთ მიზნად ისახავს დევნილთა ინტეგრაციის ხელშეწყობას მათი რეგისტრაციის ადგილას და დევნილობის პერიოდში მათი უფლებების დაცვას (მუხლი 3).[32] გარდა ამისა, კანონის მე-17 მუხლის მიხედვით დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებამდე, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას, რათა შეიქმნას დევნილის უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, დევნილებმა შეუზღუდავად და თანაბრად მიიღონ მონაწილეობა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში და ისარგებლონ სოციალური მომსახურებით.

აღნიშნული კანონის მიღმა, არსებობს 2007 წელს მიღებული საქართველოს მთავრობის განკარგულება, რომლითაც დამტკიცდა დევნილების მიმართ სახელმწიფო სტრატეგია. აღნიშნულ სტრატეგიაში დასახელებულ პრობლემებს შორის აღიარებულია დახმარებაზე დამოკიდებულების სინდრომი და უინიციატივობა. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ „მრავალი დევნილის იმედგაცრუებასა და სასოწარკვეთას მოსდევს სოციალური პასიურობა, უინიციატივობა და დახმარებაზე დამოკიდებულება, რაც უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, როგორც მათი სოციალური ინტეგრაციის, ისე მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე სამომავლო დაბრუნების თვალსაზრისითაც."[33] სწორედ ამ პრობლემასთან გასამკლავებლად, სტრატეგია მიზნად ისახავს რომ დევნილებს შეუქმნას ისეთი სამართლებრივი, პოლიტიკური, საყოფაცხოვრებო და სოციალურ-ეკონომიკური პირობები, როგორიც აქვს საქართველოს ყოველ მოქალაქეს, და აღმოფხვრას ამის ხელშემშლელი პირობები. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ სამართლებრივი კუთხით დევნილებს აქვთ ყველა ის უფლება, რაც საქართველოს სხვა მოქალაქეებს:

---

[32] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3.

[33] საქართველოს მთავრობის განკარგულება №47 2007 წლის 2 თებერვალი, ქ. თბილისი იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, თავი 2, 1.6.

ა) საქართველოს კონსტიტუციით, დევნილებს, ისევე როგორც ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას, უფლება აქვთ საცხოვრებლად აირჩიონ საქართველოს ნებისმიერი ადგილი;

ბ) დევნილებს აქვთ უფლება, თანაბრად ისარგებლონ სოციალური დაცვის, ჯანდაცვისა და განათლების სახელმწიფო და სხვა პროგრამებით, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება ან არასამთავრობო სექტორი სთავაზობს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს;

გ) დევნილებს აქვთ უფლება, გამოიჩინონ ეკონომიკური აქტიურობა და ისევე მიუწვდებოდეთ ხელი ეკონომიკურ რესურსებზე, როგორც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს;

დ) დევნილებს აქვთ უფლება, თანაბარი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საკითხთა საჯარო განხილვასა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში, თანაბრად ისარგებლონ აქტიური ხმის (აირჩიონ) და პასიური ხმის (არჩეულ იქნენ) დემოკრატიული უფლებებით;

სტრატეგიის მე-5 თავი სრულად ეთმობა დევნილთა ინტეგრაციისკენ გადასადგმელი ნაბიჯების აღწერას, რომელთა შორისაც არის დევნილებისთვის საბინაო და სოციალური პირობების გაუმჯობესება, მათი ჯანმრთელობისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, შესაბამისი სოციალური და ეკონომიკური პროგრამების შემუშავების გზით. ნიშანდობლივია, რომ ამავე სტრატეგიით, დევნილების სოციალური ინტეგრაციის წარმატებისთვის, უნდა გაიმიჯნოს დევნილის სტატუსი სოციალური დახმარებისაგან: *"დევნილები, ისევე როგორც საქართველოს სხვა მოსახლეობა, სრულფასოვნად მიიღებენ მონაწილეობას სახელმწიფოს სოციალურ პროგრამებში, რაც განისაზღვრება მხოლოდ საჭიროებიდან გამომდინარე, მიუხედავად დახმარების მიმღების სტატუსისა. ამასთან, დევნილთა მოქცევამ სოციალურ პროგრამებში არ უნდა შეამციროს მათთვის განკუთვნილი სახელმწიფო დახმარება, ხოლო სტრატეგიის პირველი მიზნის მიღწევამდე (დაბრუნება) აშესაძლებელია სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში დევნილთა მონაწილეობა მიჩნეულ იქნეს დამატებით ღონისძიებად."* სტრატეგიაში აღნიშნული ჩანაწერის მიუხედავად, იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ კანონის მე-11 მუხლის მიხედვით დევნილის შემწეობა შეწყდება, თუკი ის თანხმობას განაცხადებს სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის განკუთვნილი სოციალური დახმარების მიღებაზე.

დევნილთა ინტეგრაციის ხელშესაწყობად სტრატეგია ასევე ხაზს უსვამს მათი ეკონომიკურად გააქტიურების მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგია ცალსახად მიუთითებს დევნილების საჯარო ცხოვრებაში ჩართულობის და საჯარო განხილვებში/გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მნიშვნელობაზე, ამ მიზნის მისაღწევად სტრატეგია არ ასახელებს სპეციალურ მექანიზმს ან რეგულაციას. ამასთანავე, დევნილებთან დიალოგი და მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიჩნეულია, როგორც ამ სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი. ასევე ხაზგასმულია რომ სტრატეგია უნდა განახლდეს

რეგულარულად, სადაც ასახული იქნება მიმდინარე ტენდენციები და გამოწვევები. პარადოქსულად, სტრატეგიის დოკუმენტი 2007 წლის შემდეგ არ განახლებულა.

2019 წლიდან ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო გაუქმდა და ის დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდ (შემდგომში სააგენტო) ტრანსფორმირდა, რომელიც ოკუპირებული ტერიტორებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარეში ოპერირებს. სააგენტო გახდა ის მთავარი უწყება, რომელსაც დაევალა სტრატეგიის აღსრულება და ამისთვის მან 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაც შეიმუშავა. თუმცა სააგენტოს ამ წლების განმავლობაში არ გამოუქვეყნებია ანგარიში, თუ რა კეთდება სახელმწიფო სტრატეგიით დასახული მიზნების შესასრულებლად, ასევე არ მიმდინარეობს მუშაობა ამ სტრატეგიის განახლებაზე.

2007 წელს მიღებული სტრატეგიის შესასრულებლად შექმნილ 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმას[34] შემდეგი ოთხი ამოცანა აქვს მიზნად დასახული:
ა) დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის გზით;
ბ) დევნილთა სოციო-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება;
გ) დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა;
დ) მენეჯმენტი, კოორდინაცია, მონიტორინგი;

მიუხედავად იმისა რომ სტრატეგია მიზნად ისახავს დევნილების საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობს გაზრდას, უახლესი სამოქმედო გეგმით არ არის განსაზღვრული პოლიტიკური მონაწილეობისა და ინტეგრაციის სტრატეგიული ამოცანა და შესაბამისი მექანიზმების, საკონსულტაციო პლატფორმების შექმნა, რაც დევნილებს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის შესაძლებლობას მისცემდა. მაგალითად, 2022 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონში ცვლილეები, რომელიც დევნილთა ახალი თაობებისთვის საცხოვრებლის უფლების რეალიზების ფუნდამენტურ საკითხებს უკავშირდებოდა, ისე მომზადდა და დაამტკიცა პარლამენტმა, რომ ამის შესახებ დევნილებთან არსებითი კონსულტაციები არ გატარებულა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან დაბადებულ დევნილებზე სახელმწიფო აღარ იღებს საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულებას.[35] 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა დევნილების ჩართულობის გაძლიერებას მხოლოდ პასიურ ფორმატში, მათი ინფორმირებულობის გაზრდით განსაზღვრავს და არ მოიაზრებს მათ როგორც სტრატეგიის და სამოქმედო

[34] https://idp.moh.gov.ge/editor/upload/20230915024557-SamoqmedoGegma.pdf
[35] 2023 წლის შემდეგ დაბადებული დევნილები ბინებს ვეღარ მიიღებენ - კანონპროექტი, რადიო თავისუფლება, 15 დეკემბერი, 2022. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32178182.html

გეგმების შექმნის, განხორციელების და მონიტორინგის აქტიურ მონაწილეებად.[36] სამოქმედო გეგმის მეოთხე ნაწილი ასევე ითვალისწინებს საკოორდინაციო მექანიზმს, რომელიც მეთვალყურეობს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესს. საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეობს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საბჭოში შედიან ცენტრალური აპარატის სხვა უწყებები, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია, ასევე სახალხო დამცველის აპარატი, საერთაშორისო ორგანიზაციები - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM), გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარი (UNHCR), გაეროს მუდმივი კოორდინატორი (UNCT); სათათბირო ხმის უფლება აქვს 1 ადგილობრივ და ერთ საერთაშორისო ორგანიზაციასაც. სხვა სპეციფიური საკითხები საბჭომ შესაძლოა სხვა ორგანიზაციებთან ერთადაც განიხილოს.

აღსანიშნავია, რომ საკონსულტაციო პლატფორმები და მექანიზმები არ არის გათვალისწინებული არც სააგენტოს დებულებაში.[37]

ასევე ნიშანდობლივია, რომ დევნილების ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში და მონაწილეობა-კონსულტირების პროცესი ასევე არ არის მდგრადი და რეგულარული ხასიათის მქონე. სამშვიდობო პოლიტიკის განმახორციელებელი ძირითადი უწყება არის შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატი,[38] რომელსაც არ შეუქმნია რეგულარული დიალოგის მექანიზმი გამყოფ ხაზთან ცხოვრებ მოსახლეობასთან და დევნილებთან სამშვიდობო პოლიტიკის საკითხებში მათი რეგულარულად ჩართვის მიზნით. ერთადერთი ფორმატი რომელიც ნაწილობრივ დევნილთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობას ითვალისწინებს, არის საკონსულტაციო პლატფორმა – ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის შესრულების მიზნებისთვის შეიქმნა 2021 წელს. პლატფორმა წელიწადში ორჯერ იკრიბება და მისი საქმიანობის კოორდინაციაც შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარტი ახდენს. სახელმწიფო მინისტრის 2021 წლის #45 ბრძანების მიხედვით, საკონსულტაციო პლატფორმის შეხვედრებში შესაძლოა მოწვეულ იყვნენ, ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალი აქტივისტები. სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობა ამ პროცესში ფრაგმენტული და არარეგულარულია.

---

[36] 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა - ნაწილი 2.3. - ხელმისაწვდომია: https://idp.moh.gov.ge/editor/upload/20230915024557-SamoqmedoGegma.pdf

[37] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 01-109, 2019 წელი, 31 ოქტომბერი,

[38] შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი - მანდატის და საქმიანობის კრიტიკული ანალიზი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023, გვ 20.

რაც შეეხება დევნილ მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და არ ემსახურება მდგრადი დიალოგის პროცესის წარმოებას და რეგულარულ კონსულტაციებს.[39]

3.2. დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობის გამოცდილება და არსებული გამოწვევები - დაკვირვებები საველე კვლევიდან

იძულებით გადაადგილებული პირებს, ისევე, როგორც საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის სხვა ჯგუფებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად, მრავალი ბარიერის გადალახვა უწევთ. განგრძობადი კონფლიქტის პირობებში, დევნილები დროდადრო შეეცდებიან ხოლმე, იპოვნონ შესაძლებლობების ფანჯარა და მიიქციონ სახელმწიფოს და საზოგადოების ყურადღება.

პროტესტის ნიშნად და სახელმწიფოსთვის ყურადღების მისაქცევად[40], 2022 წლის 16 იანვარს სანატორიუმ „ქართლის“ კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები 52 წლის დევნილი კაცი სახურავიდან გადმოხტა. დევნილები ავარიული შენობებიდან განსახლებას მოითხოვდნენ. ეს ტრაგიკული მოვლენა ბოლო 32 წლის განმავლობაში ერთ-ერთია დევნილთა ხილვადი საზოგადოებრივი, თუ პოლიტიკური აქტივიზმის შემთხვევებიდან, რომლის ძირითადი მოთხოვნებიც საცხოვრებელი და სოციალური პირობების გაუმჯობესებას უკავშირდებოდა.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2022 წელს ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის თანახმად, რომელიც შეეხება დევნილი ქალების მობილობის და ეკონომიკური გაძლიერების საკითხებს,[41] დევნილ ქალებს არ აქვთ შესაძლებლობა, რომ ჩართულები იყვნენ ცენტრალური, თუ მუნიციპალური ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების, პროგრამების, პროექტების, ბიუჯეტის შემუშავების, ცვლილების ან/ და მონიტორინგის პროცესებში. მეტიც ქალების უმრავლესობა უთითებს, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია ამ პროცესების შესახებ. ამავე კვლევის მიხედვით, დევნილი ქალების მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს ინფორმაცია ჩართულობის შესაძლებლობებთან და მონაწილეობის მოთხოვნის უფლების არსებობასთან, ასევე მათთვის განკუთვნილი სერვისების არსებობასთან დაკავშირებით; კვლევის მონაწილეთა ნაწილი ასევე აღნიშნავს რომ ისინი არ მიმართავენ

---

[39] „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის“ (2018-2020) შესრულების შუალედური ანგარიში: მიგნებები და რეკომენდაციები, სახალხო დამცველის აპარატი. 2020. გვ 3.

[40] ტვ ფორმულა, გადაცემა დროება: “თვითმკვლელობა დევნილთ დასახლებაში”. https://www.youtube.com/watch?v=TXleu-XLPs8

[41] დევნილი ქალების მობილობის ბარიერები და მათი ზეგავლენა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022. ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2022122312304281594.pdf

პრობლემების მოსაგვარებლად ცენტრალურ ან ადგილობრივ ხელისუფლებას, რადგან არ აქვთ ნდობა და მათი მხრიდან რაიმეს ცვლილების მოლოდინი.

პირველადი კვლევის ამ თავში წარმოდგენილია დევნილების (მათ შორის გალში მცხოვრები დევნილების) პერსპექტივები და მოსაზრებები პოლიტიკურ და სამოქალაქო ჩართულობასთან დაკავშირებით.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები იხსენებენ, რომ ომის დასრულების პირველი პერიოდი და დევნილობა, როგორც მათი ახალი იდენტობა, „დაუჯერებელი", „სიზმრისეული" მოვლენა იყო. იმ დროისთვის, მათ ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი იმისა, რომ კონფლიქტი მალე დასრულდებოდა და სახლებში დაბრუნდებოდნენ. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში მათი, როგორც ჯგუფის ჩართულობა იმ დროისთვის ჯერ კიდევ პასიური იყო.

> "ჩვენი ყოველდღიურობა იყო, რომ შვილები გამოგვეკვება, ველოდებოდით ახალ ამბებს, რომ აი, ახლა დავბრუნდებით, საერთოდ არ გვიფიქრია იმაზე, რომ დარჩენა წლობით მოგვიწევდა. პროტესტი არ მახსენდება ასე, მაგრამ მოთხოვნებს თავიდანვე ვაყენებდით, რომ პატარები გვყავდა, შვილები გვყავდა და არ გვქონოდა ელემენტარული პირობები."- ზუგდიდი, ქალი, 61 წლის.

90-იანების შეიარაღებული კონფლიქტები, მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, სამოქალაქო დაპირისპირება, განსაკუთრებით მტკივნეულად აისახა დევნილებზე. კვლევის რესპონდენტები იხსენებენ, რომ ამ რთული პერიოდის გადალახვაში მათ „სახელმწიფო არ დახმარებიათ" და ისინი „გადარჩნენ" ერთმანეთის, ნათესავების, მეზობლების დახმარებით.

> "ჩვენი ინერცია იყო ერთმანეთის მხარდაჭერა, სახელმწიფოს იმედი არავის ჰქონდა. ამ ინერციით გადავრჩით რეალურად." - თბილისი, ქალი, 47 წლის

> "თვითგადარჩენა ვისწავლეთ შიგნით, როგორც დევნილებმა, როგორ გადავრჩენილიყავით და დღემდე, სადმე როცა ვარ, სულ ვეძებ დევნილებს. სულ მაქვს ეგ განცდა, რომ რამეთი ხო არ დავეხმარო, იმიტომ რომ რეალურად სჭირდება, გვჭირდება." - ზუგდიდი, კაცი, 67 წლის

დევნილთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჩართულობა შეუძლებელია განვიხილოთ ახალ საცხოვრებელ სივრცეებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის ანალიზის გარეშე. აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ არ ჰქონდათ ახალ საცხოვრებელ სივრცეებთან მიკუთვნებულობის განცდა, წყენით იხსენებენ ადგილობრივ მოსახლეობასთან თანაცხოვრების პირველ პერიოდს. უკან დაბრუნების საკითხი მათთვის, განსაკუთრებით უფროსი ასაკის თაობის დევნილებისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობისაა და ამჟამინდელი საცხოვრებელი სახლები „დროებითი".

> “მიუღებლობა, დაცინვა, უცხოები ვიყავით. სულ წარმოვიდგენდი ხოლმე მაშინ, აი, პირიქით რომ მომხდარიყო და ესენი [ადგილობრივები] გულრიფში ჩამოსულიყვნენ და დევნილად ქცეულიყვნენ, როგორ მოვიქცეოდით. მე მგონია რომ ასე ნამდვილად არა. დარწმუნებული ვარ.” ქუთაისი, ქალი, 55 წლის

შედარებით ახალგაზრდა დვნილი რესპონდენტებისთვის ეს რეალობა შეცვლილია.

> “ჩვენი ნამდვილი სახლი არავის ავიწყდება. მაგრამ ახლა როდესაც ბინები მივიღეთ, ვცდილობთ აქაურობა გავალამაზოთ. დავრგეთ ხეები, მოვაწყეთ სკამები, მაგიდები. საღამოობით სულ რაღაცას ვფუსფუსებთ. ბევრს არ ვიცნობ, ჩემი სანატორიუმელი მეზობლები ახლოს არ არიან. მაგრამ რავიცი, გავიცნობთ.” წყალტუბო, კაცი, 28 წლის

დევნილებისთვის განსახლების პროცესის შედეგები მძიმე აღმოჩნდა, კოლექტიურ ცენტრებში მრავალწლიანი თანაცხოვრების გამოცდილების დარღვევა და ახალ იზოლირებულ კორპუსებში გადასვლამ დევნილთა თემი, მათი სიტყვებით, ხელახლა „დაქსაქსა“. ჩასახლებებში არსებული კოლექტიური სივრცეები, და ამ სივრცეებში ორგანიზებული ქორწილები, დაბადების დღეები, გასვენებები, მნიშვნელოვანი შეკრების ადგილები იყო. სწორედ აქ ხდებოდა მათი ახალი იდენტობის და პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბება და არტიკულირება.

ერთ-ერთი დევნილი რესპონდენტი, რომელიც თბილისში ცხოვრობდა და არ ჰქონია კოლექტიურ დასახლებაში ცხოვრების გამოცდილება, აღნიშნავს, რომ კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრებ დევნილებს პოლიტიკური აქტივიზმის უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდათ. ამას სანატორიუმებში მცხოვრები სხვა რესპონდენტებიც ადასტურებენ.

> “სანატორიუმში გვქონდა სივრცე - დარბაზი, სადაც შევხვდებოდით ხოლმე მოსულ ადამიანს, ვინმეს, აქ ბინებში [ახალ დასახლებაში] ასეთი რაღაც არ არსებობს, როცა ვინმე მოდის, გარეთ ძალიან მზე არის, ხუთი წუთიც ვერ დადგები. არ არსებობს საერთო თავშეყრის ადგილი.” წყალტუბო, ქალი, 50 წლის

ორიათასიანების შემდგომ პერიოდს დევნილები მათი აქტიური საზოგადოებრივი და პოლიტიკური მონაწილეობისთვის მნიშვნელოვან ფაზად მიიჩნევენ. დროის სვლასთან ერთად, დევნილებმა „თვალი გაუსწორეს“ რეალობას და აქტიურად დაიწყეს კონკრეტული მოთხოვნების დღის წესრიგში დაყენება. მათი მხრიდან ორგანიზებული პოლიტიკური ჩართულობის არაინსტიტუციონალური ფორმები: დემონსტრაციები, გზების გადაკეტვა, თუ სხვადასხვა ტიპის პერფორმანსები სახელმწიფოს მხრიდან უპასუხოდ რჩებოდა.

ამ გამოცდილებამ, დევნილთა დიდ ნაწილში ნიჰილიზმი შემოიტანა, განცდა იმისა, რომ „შენი ხმა არავის ესმის“. ამ ყოველივეს დაერთო განგრძობითი სტრუქტურული ძალადობაც, რამაც დევნილთა თემი მიაჯაჭვა ყოველდღიურ სოციალურ და ეკონომიკურ

პრობლემებს. დევნილთა კოლექტიური საჭიროებები, ინდივიდუალურმა მოთხოვნებმა ჩაანაცვლა.

> "ისე გათენდება და დაღამდება, ვერავის ვნახულობ, ვერც მეზობელს, ვერც ოჯახის წევრს რომ დაელაპარაკო. შრომაში ვართ. ასე ვართ წლები. სიმართლე გითხრა, აქ თუ მოვა ვინმე და დამელაპარაკება და შემეკითხება, თორემ მე აქედან რომ ავდგე ხო [გარემოვაჭრეთა სივრცე] ხვალ შეიძლება აღარ დამხვდეს აქაურობა ჩემი სამყოფი" ზუგდიდი, ქალი 59 წლის

როგორც ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, „ვისაც პროტესტის დრო და ენერგია დარჩა" ცდილობდა დროდადრო შეეხსენებინა ხელისუფლებისათვის დევნილების საჭიროებები. ამ არასტაბილურმა დინამიკამ უფრო მყარი საფუძველი შეუქმნა დევნილთა პრობლემებით მანიპულირებას. ცნობილი ფრაზა, რომ „პოლიტიკოსებს დევნილები მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ" დროის სვლასთან ერთად უფროდაუფრო მყარდებოდა საზოგადოებაში.

> "ამდენი წელია ხო უკვე წეროვანში ვცხოვრობ და ვასწავლი. დიდი არცაა აქაურობა მაგრამ რამდენი ვინმე მოსულა, მე სულ გავსულვარ შეხვედრაზე და მომისმენია, რას ლაპარაკობენ, რას გვპირდებიან. ჩემთვის ყველა ის გაჩენილი იმედი ახლა გულის წყვეტად არის დარჩენილი. რომ ვიხსენებ რამდენი რამე დამიჯერებია. ყველას არ მოვხარშავდი ერთ ქვაბში, მაგრამ ზოგიერთი პოლიტიკოსი ამით ვაჭრობდა და დღემდე ვაჭრობს. არ მომერიდება ამ სიტყვის გამოყენება, რა ვქნა?!" - წეროვანი, ქალი, 45 წლის

დევნილთა დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრება სწორედ ამ მოვლენების გამოძახილია. მათ არ აქვთ სახელმწიფო ინსტიტუტების ნდობა და არ აქვთ ამ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გამოცდილება. მონაწილეობითი დაგეგმარების თეორეტიკოსები, თუ პრაქტიკოსები მიუთითებენ, რომ პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა არის ციკლური და „დასწავლადი" პროცესი, სადაც სახელმწიფო და მოქალაქე ერთდროულად არის მასწავლებელიც და მოსწავლეც.[42]

დღევანდელობის აღწერისას, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკაზე საუბარი ოჯახის წევრებთან, მეზობლებთან, თუ მეგობრებთან მათი ყოველდღიურობის ნაწილია. ინფორმაციას ფლობენ, ქვეყნის შიდა თუ საგარეო პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით. აქტიურად განიხილავენ კონკრეტულ მოვლენებს, მათ შორის, უკრაინაში მიმდინარე ომს. მათი მხრიდან, პოლიტიკაზე საუბარი და რეფლექსიები, მუდმივი შიშისა და არასტაბილურობის განცდის შედეგია.

---

[42] Cilliers, Elizelle & Timmermans, W.. (2014). The Importance of Creative Participatory Planning in the Public Place-Making Process. Environment and Planning B: Planning and Design. 41. 413-429. 10.1068/b39098.

კვლევის პროცესში გამოკითხული ექსპერტების შეფასებით, განსახლების პროცესს დევნილთა აქტიურ საზოგადოებრივი-პოლიტიკური ცხოვრებაზე ზეგავლენა დადებითად უნდა მოეხდინა. კერძო საკუთრებას და საკუთარი თავის სრულფასოვან მოქალაქედ აღქმას, პოლიტიკაში ჩართვის მოტივაცია და შესაძლებლობები უნდა გაეზარდა.

ამ მოსაზრების შეფასება კვლევაში ჩართულ დევნილებს ვთხოვეთ. პირველ რიგში, ისინი ფიქრობენ, რომ უშუალოდ განსახლების პოლიტიკა ისე დაიგეგმა, რომ დევნილები ამ პროცესში ჩართულები არ ყოფილან. რესპონდენტთა დიდ ნაწილი, რომელიც უკვე განსახლებულია, ინტერვიუებში აღნიშნავდა, რომ საცხოვრებელი ფართი არ აკმაყოფილებს მათი ოჯახის საჭიროებებს (მაგალითად, ორ ოთახიან ბინაში განსახლებულია 7 ადამიანი, ცოლ-ქმარი და ორი შვილი, ბებია და ორი და); მეორეც, ფართების დაკანონებით დენილთა მთავარი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მაგრამ მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონი დღემდე შეუძლებელს ხდის ზოგიერთი ოჯახისთვის - ახალ სახლში გადასვლას, ავეჯისა და სხვა ინვენტარის შეძენის შესაძლებლობას. მესამე ფაქტორი, კვლავ ინტეგრაციის საკითხს უკავშირდება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ადგილი და წყარო ხშირად კოლექტიური შეკრებები ხდება, დევნილთა ახალი საცხოვრებელი შენობები კი ხშირად სხვა დასახლებულ პუნქტებისგან ცალკე და იზოლირებულად არის განთავსებული.

დევნილების პროტესტი ასევე მიემართება იმ საინფორმაციო „ვაკუუმს“, რომელიც არა მხოლოდ დევნილებისადმი შემუშავებულ პროგრამებს, არამედ ზოგადად მათ ქალაქებში არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შეეხება.
კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობას აქვს დემონსტრაციებში მონაწილეობის გამოცდილება. მათ მცირე ნაწილს მოუწერია ხელი პეტიციაზე და კიდევ უფრო ცოტა - ყოფილა ჩართული ინსტიტუციონალურ მექანიზმებში. მათი თქმით, სახელმწიფო ჩართულობის ეს შესაძლებლობები ფორმალური ხასიათისაა. არ არის დევნილთა თემის საჭიროებებზე მორგებული და წარმომადგენლობითი. კვლევის მონაწილეების უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია ჩართულობის ინსტიტუციონალური მექანიზმების შესახებ, ასევე არ არიან ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავებული პროექტების, ბიუჯეტის შემუშავების პროცესში. ისინი აღნიშნავენ, რომ მათი აქტივიზმი მეტწილად მიემართება ცენტრალურ ხელისუფლებას, **ვინაიდან დევნილთა საჭიროებების დაკმაყოფილება ადგილობრივ თვითმმართველობას არ ძალუძს.**

> “მე არ მაქვს ინფორმაცია არც სხვა დევნილებისგან გამიგია,რომ აფხაზეთის დე იურე მთავრობას დევნილებთან კომუნიკაცია ჰქონოდა. არც გვახსენდება ეგ ხალხი.” წყალტუბო, ქალი 48 წლის

დევნილთა ახალ დასახლებების საბაზისო საჭიროებებს შორის გამოიკვეთა საჯარო ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის პრობლემაც, რასთან დაკავშირებითაც, წყალტუბოს ახალი დასახლების სკვერში მყოფმა დევნილმა ქალებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს მიმართეს ერთ-ერთი „აქტიური“ დევნილი ქალის დახმარებით. სულ

მალე კი დაინიშნა ტრანსპორტი, თუმცა დღეს იგი კვლავ შეფერხებით მოძრაობს და დევნილთა დიდი რაოდენობის გადაადგილება, განსაკუთრებით დილის საათებში, კვლავაც დიდ სირთულეს წარმოადგენს.

წეროვნის დევნილთა დასახლებაში ერთ-ერთი სამეზობლო შეკრებისას რესპონდენტებმა მცირე ბიზნესის მხარდამჭერ პროგრამებზე ისაუბრეს, სადაც სამიზნე რეგიონებთან ერთად, მათი აზრით, მნიშვნელოვანია განსაზღვრული იყოს კონკრეტულად დევნილებისთვის გამოყოფილი მხარდამჭერი პროგრამებიც.

დევნილები აღნიშნავენ, რომ მათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტიურობასთან დაკავშირებით როგორც ხელისუფლებაში, ისე ადგილობრივ ორგანოებსა და საზოგადოებაში წინასწარი განწყობები არსებობს. დევნილებს აქვთ განცდა, რომ ყველამ კარგად იცის მათი საჭიროებების შესახებ, თუმცა „მოგვარებას არავინ ჩქარობს“.

გამოკითხული რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ დევნილი ჯგუფების იდეები, რომლებიც ეხება კულტურულ, საგანმანათლებლო, თუ სხვა ტიპის შემეცნებით ღონისძიებებსა და პროექტებს, არათუ გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის, არამედ თავად დევნილთა ჯგუფებშიც კი არ არის ხშირად მხარდაჭერილი. დევნილები ფიქრობენ, რომ ეს საკითხები ნაკლებად პრიორიტეტულია, აქვთ მუდმივი შიში არასტაბილურობისა და „იმის დაკარგვისა, რაც უკვე აქვთ“. სწორედ ამიტომ, მათივე შეფასებით, დევნილთა საბაზისო საჭიროებები პოლიტიკური მანიპულაციების საგანია და ხშირია დევნილთა თემის „დროებით გაჩუმების“ მცდელობები.

> „ჩვენ [დევნილ ქალთა საინიციატივო ჯგუფი,ზუგდიდი] სულ ვამბობთ, რომ არ უნდა გავჩერდეთ, მუდმივად უნდა გვქონდეს პროექტები, შევიტანოთ ყველგან. მერე სხვა ქალები გვეტყვიან ამის გაკეთებას, ცეკვა-თამაშის ჩატარებას, რაც გვჭირდება ის მოვითხოვოთ. ჩვენც სხვა ჯგუფებივით გვჭირდება ის ყველაფერი, რაც აქვთ სხვებს ხო. მათ შორის ხელსაქმის ტრეინინგები, რომლითაც ბევრმა ისწავლა კერვა და ახლა თავისი სამკერვალო აქვს. რა , ეს არ იყო საჭირო?” ზუგდიდი, ქალი, 51 წლის

> „მოვიდოდნენ, რავიცი დაგვირიგებდნენ წინასაახალწლოდ რაღაცას და მერე მანდ ჩუმდებოდა მთელი დასახლება. მერე ისევ მოვითხოვდით და ისევ გავჩუმდებოდით. და არ უნდა გავჩუმებულიყავით. ვაჭრობაა აბა რა არის ეს. ვაჭრობა დროებითი გაჩუმების სანაცვლოდ“ - ზუგდიდი, ქალი 49 წლის

თვითკრიტიკა, რაც „მუდმივი ჩართულობის“, თუ „არგაჩერების“ საჭიროებას უკავშირდებოდა, დევნილების შიდა დისკუსიებში მოქალაქეთა ჩართულობის იმგვარი მექანიზმების არსებობამდე მიდის, სადაც უზრუნველყოფილი იქნება დევნილთა აქტიური მონაწილეობა. მაგალითად, დევნილთა წარმომადგენლების, მოქალაქეთა ჩართულობის ინსტიტუციონალურ მექანიზმებში თემის წინასწარგანსაზღვრული კვოტების

რაოდენობით. აღნიშნული შესაძლებელია დარეგულირებული იყოს კანონმდებლობით და შიდა რეგულაციებით.

> „წყალტუბოს მაგალითზე მინდა ვთქვა, რომ მაგის საჭიროება არის. იმის რომ იყოს ვინმე წარმომადგენელი საკრებულოში, მუნიციპალიტეტის კრებებზე და მუდმივად ისმოდეს ჩვენი ხმა. ნებისმიერ პროექტთან, საომავლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ხო უნდა იცოდნენ მაგალითად ჩვენ რას ვიტყვით მაგაზე. ხო ვცხოვრობთ ჩვენ ამ ქალაქში და ვმუშაობთ, გადავაადგილდებით.“ წყალტუბო, ქალი 47 წლის

> “ჩვენ ვუთხარით, რომ რაღაც ამგვარი წარმომადგენლობა იყოს, მაგალითად 6 თვე, 1 წელი, არ ვიცი იყოს ერთი ქალი, კაცი, ან ორივე ერთად და ისაუბრონ ჩვენზე“ - ზუგდიდი, ქალი, 49 წლის

დევნილების შეგრძნება, რომ ისინი საზოგადოების იმ ჯგუფს წარმოადგენენ, რომელთა საჭიროებები ცალკეულად უნდა იყოს გათვალისწინებული, განხილული ჩართულობის მექანიზმებში, განსხვავებულია იმ ქალაქების მიხედვით, სადაც ინტერვიუები ჩატარდა. მაგალითად, ზუგდიდში და თბილისში ამ ტიპის საჭიროებას დევნილები არა კონკრეტულად მუნიციპალიტეტის, არამედ ცენტრალიზებულ დონეზე განიხილავენ. წყალტუბოში გამოკითხული რესპონდენტების ნაწილი ფიქრობს, რომ ასეთ პატარა ქალაქებში უფრო მეტი რესურსი აქვს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს უზრუნველყოს დევნილთა წარმომადგენლობა. მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ამგვარი წარმომადგენლითობა უფრო შეუშლის ხელს დევნილთა როგორც საზოგადოებრივ, ისე პოლიტიკურ ინტეგრაციას.

> „არანაირი ინტეგრაცია, ახლა ბაღი აშენდება და ამ ბაღსაც დევნილების ბაღს დაარქმევენ“, წყალტუბო, ქალი 49 წლის

> „რო გაიგებენ რომ აი დევნილია,ამას აუცილებლად რაღაც სჭირდება, ითხოვს რაღაცას, არადა რას ვითხოვ, ჩვენი ქალაქისთვის კარგს ხო, ახალაგზრდებისთვის, ფესტივალს კერძების და ასეთ ღონისძიებას, მაგრამ ეგრევე მიწელავენ შეხვედრას, იქნებ რას ვითხოვ, მაგრამ არიდებენ თავს. და მართლა მარტო წინასაარჩევნოდ შეიძლება მოგეფერონ და მოდი შენ გენაცვალე.“ წყალტუბო, ქალი 41 წლის

სოციალური იდენტობა კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდაა და სოციო-დემოგრაფიულ მახასიათებლებთან ერთად, ინდივიდების ემოციებსა და ღირებულებებს ეფუძნება.[43] დევნილებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ დროთაგანმავლობაში დევნილების „სოციალური იდენტობა“

[43] Tajfel, H. (1972). Social categorization. In S. Moscovici (Ed.), Introduction à la psychologie sociale (pp. 30-37). Paris: Larousse

ტრანსფორმირდებოდა, თუმცა მისი ღერძი ყოველთვის იყო დევნილების უკან დაბრუნება.

უკან დაბრუნებაზე მსჯელობა მხოლოდ ორი დროითი განზომილებითაა შემოფარგლული: წარსულით - როცა მოვლენების გახსენება ხდება, და მომავლით, როცა დევნილები იღებენ სახლებში დაბრუნების დაპირებებს. დროის ამგვარი განაწილება პრობლემურია იმ თვალსაზრისით, რომ აწყმოში არსებული ყოველდღიური საჭიროებები პოლიტიკის დღის წესრიგის მიღმა რჩება. (i) უკან დაბრუნებასთან ერთად; (ii) დევნილთა ყოველდღიური საჭიროებები მათი იდენტობის მეორე მთავარი ღერძია, როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს „ეს არის ყოველდღიური დევნილობა“, მაშინ როცა შენი საცხოვრებელი სახლი, შენი დაბალი ხელფასი, თუ ნაკლები ხელმისაწვდომობა სხვადასხვა რესურსზე, გაიძულებს ყოველდღე "იბრძოლო". თუმცა ეს "ბრძოლა" ყოველთვის პოლიტიკური არ არის.

საინტერესია, რომ ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით, ის, როგორც დევნილი მეტნაკლებად ინტეგრირებულია, თუმცაღა ინტეგრაცია არ გამორიცხავს აპრიორი სოციალურ იდენტობის რომელიმე ნაწილის გაქრობას.

> „რომ წარმოიდგინოთ ეს არის ყოველდღე დევნილობა. შენ ხარ ყოველდღე დევნილი. ეს არის სტატუსი, რომელიც გინდა „მოიშორო“, აი, დაუკვირდით, თან არ გინდა რომ იყო. იმიტომ რომ უარის თქმა და იმის მოწოდება, რომ აი მეც როგორც თამარი ისევე ვარ ამ ქვეყნის მოქალაქე, უკვე ნიშნავს იმას, რომ მე უარვყოფ სხვა დევნილების გამოწვევებს. ამაზე უარის თქმა და თავის მოკატუნება ჩვენი, როგორც თემის შეცდომა იქნება.“ თბილისი, კაცი, 39

დევნილთა ინტეგრაცია და იდენტობა მნიშვნელოვნად გადაჯაჭვულია პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებთან. საინტერესოა, რომ საზოგადოების ფართო ჯგუფებში დევნილები, როგორც პოლიტიკურად აქტიურ ჯგუფებად განიხილებიან, ვინაიდან მათ აღქმაში დევნილის სახე წარმოდგენილია იმ ადამიანად, რომელიც დღის წესრიგში აყენებს მაგ. საცხოვრისის საჭიროებას. ეს კი დევნილებისთვის „სირცხვილის“ გამოცდილებას ქმნის, რომელიც საკუთარი განსხვავებულობის აღქმით გამოწვეული გრძნობაა. სირცხვილის ამგვარი გაგება მარგინალიზების მთავარ წყაროს წარმოადგენს.[44] „პოლიტიკური ხმაური“ განსაკუთრებით იკლებს სწორედ მაშინ, როდესაც დევნილები ხვდებიან, რომ მათ ამგვარ აქტივობას არ აქვს „შედეგი“ და ისინი კვლავ მანიპულირებად ჯგუფად რჩებიან. ერთი, რომ მათი ეს აქტიურობა ქმნის სირცხვილის გამოცდილებას და მეორე მხრივ, სირცხვილთან ერთად, "ხმაური" არ არის შედეგიანი. სწორედ ასე გარდაიქმნება ეს აღქმები ნიჰილისტურ პოლიტიკურ ნაბიჯებში, რაც თავის მხრივ ხელს უშლის მათ პოლიტიკურ და სოციალურ ინტეგრაციას.

---

[44] Herzfeld, Michael (1980). Honor and sha me: Problems in the Com para ti ve Analysis of Moral Systems. Man, 15, 339–351.

ინტერვიუების ანალიზმა გამოავლინა, რომ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დევნილთა „რეალური“ მონაწილეობა, მათი აზრით, სრულად დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას არ აქვს საჯარო პოლიტიკურ დონეზე ადმინისტრაციული, ადამიანური, თუ ფინანსური რესურსები - უზრუნველყოს ინსტიტუციონალურ მექანიზმებში ცალკეულად დევნილთა მონაწილეობა, ქვეყანაში არსებული დევნილთა საინიციატივო ჯგუფები/ორგანიზაციებითან თანამშრომლობა კარგი შესაძლებლობაა დევნილებსა და სახელმწიფოს შორის არსებული დიდი უფსკრულის აღმოსაფხვრელად.

რესპონდენტები ფიქრობენ, რომ წამოჭრილი პრობლემების მოგვარება, როგორც პოლიტიკური, ისე არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორის ერთობლივი მუშაობით არის შესაძლებელი.

> “ადრე, არასამთავრობოები მოდიოდნენ, გველაპარაკებოდნენ პოლიტიკურ მონაწილეობაზე. მეც თავადაც ვიყავი ჩართული, როგორც ტრენერი, ახლა ისეთი სიჩუმეა, ასეთი პროექტებიც იშვიათია. რეალურად, ნამდვილად გამოჰქონდა ჩემი აზრით ამ შეხვედრებს შედეგი. მე სწორედ ასეთი ტრენინგებიდან გავიგე და ვისწავლე და მერე თავადაც ვასწავლიდი.” წყალტუბო, ქალი, 45 წლის

3.3. გალის რაიონის მოსახლეობის აღქმები პოლიტიკურ მონაწილეობაზე

გალში და გალის რაიონში მცხოვრებ ქართველთა პოლიტიკური მონაწილეობის დონე, ომის დასრულებიდან დღემდე ძალიან დაბალია, თუმცა ბოლო წლებში პოლიტიკური მონაწილეობის დინამიკამ კიდევ უფრო იკლო. ეს პირველ რიგში უკავშირდება გადაადგილების შეზღუდულობას, რაც განსაკუთრებით მწვავდება არჩევნების და წინა საარჩევნო პერიოდში. დღევანდელი მდგომარეობით, ენგურის საგამშვებო პუნქტი, მცირე მასშტაბით ფახულანი-საბერიოს გადასასვლელი არის ერთადერთი შესაძლებლობა გალის მოსახლეობისთვის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსასვლელად. ტრანსპორტირების ხარჯები და ლოჯისტიკა - ტრანსპორტის ფასები და მათი განრიგი, ზოგიერთი ადგილობრივისთვის წარმოადგენს დაბრკოლებას, რათა ისინი ენგურის გამშვებ პუნქტამდე მოვიდნენ. შესაბამისად, გადაადგილებასთან დაკავშირებული ფიზიკური ბარიერები გალელებისთვის პოლიტიკური მონაწილეობის მთავარი ბარიერია. ცხადია, გალელებს პოლიტიკური მონაწილეობა საკუთარ საცხოვრებელ ადგილზეც შეზღუდული აქვთ, რადგან აფხაზეთში საჭირო დოკუმენტაციის არარსებობის პირობებში, ისინი ვერც ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში იღებენ მონაწილეობას, არ აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება და არც იმის უფლება, რომ თავად იყარონ კენჭი.[45]

[45] თეონა ფირანიშვილი, ორმხრივი გამოტოვების ადგილები - უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022. გვ 41-42

30 წლიანი გარიყვის, პოლიტიკური უმოქმედობის და მივიწყებულობის ფონზე, გალის მოსახლეობას პრაქტიკულად აღარც შერჩა იმის აღქმა, რომ პოლიტიკური მონაწილეობა მნიშვნელოვანია და რომ მას ცვლილების მოტანა შეუძლია. გამოკითხულთა მოსაზრებებში დომინირებდა ის აზრი, რომ არავის არაფრის შეცვლა არ შეუძლია, და რომ ყველაფერი წინასწარაა განსაზღვრული, ამიტომაც არ აქვს აზრი ტყუილად გარჯას და იმაზე ფიქრს, თუ როგორ შეიძლება არსებული სიტუაციის შეცვლა. 40 რესპოდენტიდან მხოლოდ ათი ფიქრობს, რომ ისეთ ქვეყანაში როგორიც საქართველოა, პოლიტიკური მონაწილეობა აუცილებელია.

გამონაკლის წარმოადგენენ ის გალელები, რომლებსაც კონტროლირებად ტერიტორიაზე უფრო მეტი მობილობის შესაძლებლობა აქვთ, მათ შორის ძირითადად არიან სტუდენტები. თუმცა მათი თქმითაც, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში ჩართულობა ყურადღების მიღმა არ რჩებათ დე-ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებს, ამიტომ სიფრთხილის ზომების მიღება მუდმივად უწევთ. მათი თქმით, სოციალურ მედიაში აქტიურობით, დემონსტრაციებში მონაწილეობით და ნაცნობებთან აქტიური დისკუსიებით ისინი ცდილობენ, რომ გარშემომყოფების პოლიტიკური ცნობიერება აამაღლონ. მათთვის მიუღებელია გალელებში არსებული ნიჰილიზმი, მიუხედავად იმისა, რომ სირთულეებს თითონაც ხედავენ, თუმცა ფიქრობენ, რომ ამის დრო არ არის.

> „ძალიან ბევრჯერ მითხრეს ჩემმა ნათესავებმა, რომ აზრი არ აქვს დემონსტრაციებზე ყოფნას და რომ არაა უსაფრთხო ჩემთვის მანდ დგომა. მათ არ სჯერათ, რომ საკუთარი აზრის და პოზიციის დაფიქსირება მნიშნელოვანია, რაც რა თქმა უნდა გასაგებია, რადგან მათ ხმის მიცემის და ამოღების უფლება აქვთ წართმეული. მათთვის წარმოუდგენელია რომ თითოეული ადამიანის ჩართულობა პოლიტიკაში ჩვენი მოვალეობაა, რადგან ჩვენ უნდა გავნკარგოთ ის, რაც ჩვენ ცხოვრებას ეხება.“ - გალი, კაცი, 25 წლის.

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში ჩართვას ართულებს დე-ფაქტო რეჟიმის და საოკუპაციო ძალების მკაცრი კონტროლი ნებისმიერ საჯარო აქტიურობაზე. სწორედ ამიტომ გალელები მუდმივად ერიდებიან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში გამოჩენას, რადგან ეს შეიძლება არ იყოს უსაფრთხო მათთვის, ან მათი ოჯახებისთვის.

> „შარშანაც და წელსაც მარტის დემონსტრაციების დროს, კარგად ვიყავი შენიღბული, არამარტო ჩემი უსაფრთხოების მიზნით, არამედ იმისთვის, რომ არსად არ გამოვჩენილიყავი, რადგან პირველ რიგში ჩემი მშობლები, რომლებიც გალში ცხოვრობენ ძალიან ღელავენ და ამან შეიძლება მათვე შეუქმნას პრობლემა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც პოლიტიკური პოზიციონირებისთვის ოჯახი გადაუსახლებიათ გალიდან, კერძოდ, კი უკრაინის მიმართ მხარდაჭერის გამოვლენისთის. მეორე მიზეზი - აფხაზეთში უპრობლემოდ ჩასვლა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუ რომელიმე მედიაში გაშუქდება ის, რომ მე

> დემონსტრაციებში ვიღებდი მონაწილეობას, შეიძლება აფხაზეთში ვერასდროს ჩავიდე. იყო შემთხვევა, აქციების შემდეგ პირველად რომ ჩავედი გალში, რუსებმა ცალკე ოთახში გამიყვანეს, სადაც ჩემი ბარგი დეტალურად შეამოწმეს და ტელეფონშიც ყველაფერი შემიმოწმეს, წაშლილი და დამალული ფოტოებიც კი. წინააღმდეგობა არ გამიწევია, რადგან მეშინოდა. რთულია, რომ წინააღმდეგობა გაუწიო, ან ჰკითხო თუ რის საფუძველზე გჩხრეკენ ასე ზედმიწევნით.“ გალი, კაცი, 23 წლის.

გალელები პოლიტიკური აქტივობის გამოვლენას და აზრის დაფიქსირებასაც კი ერიდებიან საკუთარ ახლობლებში, მეზობლებში, რადგან ნდობა ერთმანეთის მიმართ სულ უფრო და უფრო მცირდება.

> „ოჯახში მამასთან ერთად ყოველდღე გვაქვს საუბარი ადგილობრივ და მსოფლიო პოლიტიკაზე, რადგან ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი ბედი მსოფლიო პოლიტიკაზეა დამოკიდებული და გასაგებია, რომ დიდ გავლენასაც ვერ მოვახდენთ, თუმცა განხილვას და დისკუსიას ოჯახში მაინც არაფერი უდგას წინ. თუმცა ამ დისკუსიაში მეზობელთან და ნათესავთან შესვლა შეიძლება სარიკსო იყო, რადგან ყველას ეშინია თავისი აზრის დაფიქსირების, იმდენადაა ჩანერგილი შიში და უნდობლობა როგორც პოლიტიკის, ასევე ერთმანეთის მიმართ.“ - ზემო ბარღეფი, კაცი, 30 წლის.

> „ჩემთვის აქ [ჭუბურხინჯში] დაბრუნება ერთის მხრივ დიდი გამოწვევა იყო - არ მყავს მეგობრები, ან თანამოაზრეები. კოვიდის დროს ჩამოვედი და დავრჩი. რთულია ცხოვრობდე ისეთ საზოგადოებაში, სადაც არ იცი ვის შეიძლება ენდო, მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა ჩემი ახლობლებისა და მეზობლების მიმართ, ხანდახან ჩემს აზრებს მათივე უსაფრთხოების მიზნით არ ვაჟღერებ. როდესაც შარშან მარტში რუსული კანონის საპროტესტო დემონსტრაციებზე გადავწყვიტე ჩამოსვლა, ეს მხოლოდ ჩემმა ოჯახის წევრებმა იცოდნენ. არა იმიტომ რომ არსებობდა რაიმე გარკვეული საფრთხე ჩემი ნაცნობების მხრიდან, ასე მგონია ასე უმჯობესი იყო. არ შემეძლო, რომ ტელევიზორიდან მეყურებინა იმისთვის, თუ როგორ არბევდნენ ჩემს მეგობრებს და თანამოქალაქეებს. როცა ჭუბურხინჯში დავბრუნდი, მას შემდეგ რაც ქართულმა ოცნებამ გამოაცხადა, რომ მათ გაიწვიეს კანონი, საზღვარზე დიდი გამოკითხვა გავიარე. გამჩხრიკეს თავიდან ბოლომდე. რა თქმა უნდა არანაირი ფოტო ან ვიდეო მასალა არ მქონია, რომელიც დაადასტურებდა ჩემს მონაწილეოაბს დემონსტრაციებში. მშვიდად გავიარე ეს დაბრკოლება. თუმცა ეს ძალიან რთულია. რთულია, როცა თვითონ სახელმწიფოა შენი მტერი!“ -ჭუბურხინჯი, ქალი, 29.

გალელი რესპონდენტების თქმით, მათი ადგილი არ არის ქართულ პოლიტიკაში, ინფორმაციას მათ არავინ აწვდის, არათუ რაიმე პროცესებში არიან ჩართულები,

„საქართველოს მთავრობა და დევნილთა სამინისტრო, ასევე საქართველოს უსაფრთხოების სამსახური უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ჩვენ ენგურის საგამშვებო პუნქტზე არ შეგვექმნას პრობლემები, რომ შევძლოთ დაბრკოლებების გარეშე გადავაადგილდეთ; გვქონდეს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა სერვისებით შეგვიძლია სარგებლობა, როგორც გალში მცხოვრებებს და დევნილებს.“ - ზემო ბარღეფი, კაცი, 30 წლის.

3.4. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები: არჩევნებში მონაწილეობა და დევნილთა მობილიზაცია/ დემობილიზაციის მიზეზები და პრაქტიკები

არჩევნების წინა პერიოდში რომ იძულებით გადაადგილებულ პირების საჭიროებებზე პოლიტიკური დისკუსიები აქტიურდება, დევნილებისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. თუმცა, თემის წარმომადგენლების აზრით, ამ გააქტიურებას ძირითადად პოპულისტური მიზნები აქვს და შინაარსობრივი/პრაქტიკული მსჯელობებისგან შორს დგას. ტერიტორიული მთლიანობა მათი სიტყვებით სიტყვებით, "დევნილებთან ვაჭრობის“ მთავარი საგანია.

კითხვაზე, თუ რა უნდა განიხილებოდეს დევნილთა შესახებ პოლიტიკურ დღის წესრიგში, რესპონდენტებმა მათთვის რამდენიმე ცენტრალურ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება:

(i) განსახლების პროცესის დასრულება და ყველა დევნილის საცხოვრებლით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს, პრიორიტეტად იმ დევნილთა განსაზღვრას, რომლებიც ავარიულ სახლებში ცხოვრობენ; აუცილებელია დევნილთა ხედვების გათვალისწინება და განსახლების პროგრამებში მათი ჩართვის უზრუნველყოფა პროცესის ეფექტიანობის მიზნით;

(ii) დევნილთა საჭიროებებზე მორგებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს, კვლევაზე დაფუძნებული დევნილთა საჭიროებების გამოკვეთასა და ახალი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებას, სადაც გაწერილი იქნება მათი დასაქმების, ჯანდაცვის, განათლების მხარდამჭერი პროგრამები. მნიშვნელოვანია ამ პროგრამათა იმპლემენტაციის უზრუნველყოგა მონაწილეობითი მონიტორინგისა და შეფასების გზით.

(iii) მოქალაქეთა ჩართულობის ინსტიტუციონალურ მექანიზმებში დევნილთა წარმომადგენლობითობის განსაზღვრა კანონმდებლობით, მათ შორის, სამშვიდობო პოლიტიკაში დევნილთა ჩართულობის უზრუნველყოფა;

(iv) ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება;

კვლევის შედეგად, რესპონდენტებმა ისაუბრეს იმ მიზეზებზეც, რაც საარჩევნო პროცესების მიმართ დევნილთა თემს ხდის ინდიფერენტულს. დევნილი თემის, როგორც აქტიური ელექტორატის შეფასებასთან დაკავშირებით მოსაზრებები განსხვავებულია. მაგალითად, წეროვნის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები რესპონდენტები ფიქრობენ, რომ სამხრეთ

ოსეთიდან დევნილები აქტიური ამომრჩევლები არიან, თუმცა პოლიტიკური პარტიების ადრესატები მეტწილად აფხაზეთიდან დევნილები არიან და ეს მათ საარჩევნო დაპირებებსა და კამპანიებში მუდმივად იგრძნობა.

> "2008 წლის ომის შემდეგ 26 ათასამდე ადამიანი გახდა დევნილი. ნამდვილად არ არის ცოტა რიცხვი. ჩვენ აქაც და სხვებისგანაც გამიგია, რომ ხშირად გვაქვს რეალურად ეგ განცდა, რომ დევნილებზე როდესაც საუბრობენ, „უფრო მეტად" გულისხმობენ ხოლმე აფხაზეთიდან დევნილებს. რაღაცნაირად მიღმა რჩება თითქოს ჩვენი საჭიროებები. თბილისთან ახლოს ვართ, ცალკე დასახლება გვაქვს, არის შთაბეჭდილება რომ ყველაფერი გვაქვს?!" წეროვანი, ქალი, 27 წლის

წყალტუბოსა და ქუთაისში მცხოვრები რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც წყალტუბოს სანატორიუმებიდან დევნილთა განსახლება დასრულდა (დარჩენილია რამდენიმე ოჯახი), თემმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა ფაქტობრივად შეწყვიტა, და როგორც პოლიტიკური პარტიები, ისე დევნილი მოსახლეობა „სრულ სიჩუმეშია".

> 'წლების განმავლობაში დევნილები წყალტუბოში ყველაზე აქტიურები იყვნენ, იმიტომ რომ უმთავრესი პრობლემა იყო განსახლება, წარმოიდგინეთ, იმდენად რთულ პირობებში გვიწევდა ცხოვრება, რომ დაბრუნებასაც კი უტოლდებოდა ეს თემა. ახლა არ ვიცი რა ჰქვია ამას, სრული სიჩუმე" წყალტუბო, ქალი, 45 წლის

არჩევნების მიმდინარეობის პროცედურულ ასპექტებთან დაკავშირებით, რესპონდენტებმა ისაუბრეს საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის გაუმართავ მექანიზმზე, რაც ზღუდავს მათ საარჩევნო პროცესში მონაწილეობას. განსახლების პროცესში, წყალტუბოს მაგალითზე, დევნილები გაურკვევლობაში აღმოჩნდნენ მათ ახალ საცხოვრებელ მისამართებსა და იმ საუბნო ოლქებს შორის, სადაც უნდა დაეფიქსირებინათ ხმები.

> "წელსაც იმედია არ ექნებათ ეგ პრობლემა. წინა არჩევნებზე ნამდვილად ბევრი ისე დაიბნა, რომ ეგონათ იქ იყვნენ ჩაწერილები, და რომ მივიდნენ, აღმოჩნდა, რომ სხვაგან უნდა მიეცათ ხმა." წყალტუბო, ქალი, 47 წლის

ზუგდიდის მაგალითზე, დევნილები საუბრობენ, რომ არჩევნების წინა პერიოდში მნიშვნელოვანია, როგორც დევნილ თემს, ისე ზოგადად საზოგადოებას დეტალურად განემარტოს მათი საარჩევნო ოლქების ადგილმდებარეობის შესახებ და არსებობდეს იმგვარი დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ფორსმაჟორ რეჟიმში იმუშავებს წინასაარჩევნოდ, პარტიული ნეიტრალიტეტის დაცვის პრინციპით, „დეზორიენტირებული" ამომრჩევლის ორგანიზებაში.

> „ე.ი ვართ იმისთანა დეზორიენტირებულები. მე მაგალითად, რამდენიმე მეზობელს გავუგე სად უნდა წასულიყვნენ არჩევნებზე, 18 წლის გახდა ბავშვი და აინტერესებდათ სად უნდა მიეცა ხმა. იმიტომ რომ განა ისაა პრობლემა რომ

> სიტყვაზე სადმე არეულია სიები. ანუ არ იციან, სად უნდა გაარკვიონ. აქ [მუნიციპალიტეტში] ნორმალურად დამლაპარაკებელი არავინაა, მგონი არც ამათ იციან. მითუმეტეს ამფერ პატარა ქალაქში“. ქუთაისი, ქალი 45 წლის

გალელი რესპონდენტების თქმით, ხალხმა არ იცის რატომ უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა და რას ნიშნავს თითოეული მათგანის ხმა. ერთის მხრივ, ეს დაბალი პოლიტიკური ცნობიერებით და ასევე შეზღუდული მობილობით, და მეორეს მხრივ, ქართული მხარის მიმართ უნდობლობითაა გამოწვეული. ამას ემატება ენგურის საგამშვებო პუნქტის რამოდენიმე დღით ჩაკეტვა, ამიტომ ამომრჩეველი ვერ ახერხებს არჩევნებზე თავიანთი პოზიციის დაფიქსირებას.

> „ჩემს გარშემო არიან ადამიანები, ვინც საერთოდ არ იცის თუ რას ნიშნავს არჩევნები. ეს პირველ რიგში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით აიხსნება. ეს მდგომარეობა ხალხს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში იყვნენ ჩართულები. მათთვის ყოველდღიური საკვები და თვიდან თვემდე თავის გატანაა მთავარი საზრუნავი. მე, როგორც ჩემი სოფლის მკვიდრი, და ადამიანი, რომელსაც ჩემი სოფლისთვის და ქვეყნისთვის სიკეთე მინდა, ვცდილობ (განსაკუთრებით ბოლო ჟამს, მძიმე პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე), რომ მათ მაქსიმალურად მარტივად ავუხსნა, თუ რა არის არჩევნები და რატოა თითოეული ადამიანის ხმა მნიშვნელოვანი. აქ საგულისხმოა ის, რომ მე ვსაუბრობ იმ ხალხზე, რომლებმაც უმაღლესი განათლება ვერ მიიღეს ომის და მის შემდგომ არსებული მძიმე პირობების გამო. ამის გაანალიზების შემდეგ მარტივია მივხვდეთ, თუ რატოა ამდენად დაბალი პოლიტიკური ცნობიერება აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებში.“ - გალი, ქალი, 27 წლის.

კიდევ ერთი რესპოდენტი ამბობს, რომ მის გარშემოც ძალიან ბევრი ადამიანია, ვინც არჩევნების და მასში მონაწილეობის მნიშვნელოვანებას ვერ იაზრებს. მისი თქმით ხალხს ჰგონია რომ არჩევნები მაინც გაყალბდება და აზრი არ აქვს მათ ხმას არჩევნებში. ეს აზრი მათ წლების განმავლობაში ჩამოუყალიბდათ. თუმცა, აქ მხოლოდ დაბალი პოლიტიკური ცნობიერება არაა ერთადერთი პრობლემა, არამედ ისიც, რომ საქართველოს მთავრობა არ იღებს ზომებს იმისათვის, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ხალხს მეტი ინფორმაცია ჰქონდეს იმასთან დაკავშირებით, თუ რატოა მნიშვნელოვანი ხმის მიცემა, აზრის დაფიქსირება, და პრაქტიკულად რა პროცესებს მოიაზრებს არჩევნებში მონაწილეობა. პირიქით, არჩევნების წინა დღეებში ერთადერთი - ენგურის - გამშვები პუნქტი იკეტება, და იმათ ვისაც სურს, რომ არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა, ვერ ახერხებენ. ეს ერთ-ერთი უდიდესი დაბრკოლება გალში მცხოვრები ქართველებისთვის.

ტყვარჩელის რაიონში, სოფელ რეჩხში, 47 წლის ქალბატონის თქმით, უკვე დიდი ხანია, რაც საქართველოს მთავრობამ თუ პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი ჩაიქნიეს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ხმის მნიშვნელობაზე.

„ჩვენი ხმა არავის არ სჭირდება და არც ჩვენი აზრი და არჩევანი აინტერესებთ. ძნელია დასაჯერებლად ის, რომ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, და რაც მთავარია, მთავრობას არ ჰქონდა იმის დრო, ან საშუალება რომ ეს პრობლემა მოეგვარებინა. უბრალოდ არაა ეს მათთვის მნიშვნელოვანი. ჩემი დაკვირვებით, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა უმრავლესობას არ მოსწონს მმართველი პარტია და არ გამოვრიცხავ იმ ფაქტს, რომ გამშვები პუნქტის ჩაკეტვა სწორედ რომ ქართული ოცნებისა და აფხაზი პოლიტიკოსების შეთანხმების საფუძველზე ხდება“. - რეჩხი, ქალი, 47 წლის.

იგივე აზრს იზიარებენ თბილისში მცხოვრები გალელი ახალგზრდები, რომლებიც წლების განმავლობაში აკვირდებიან პოლიტიკური მოვლენების დინამიკას აფხაზეთში მცხოვრები ქართველების მიმართ.

„ყოფილა შემთხვევა, როდესაც ენგურის გამშვები პუნქტი ორი ან სამი დღით ადრე ჩაუკეტიათ. გალში და გალის რაიონში მოსახლეობის უმეტესობა სოფლის მეურნეობას ეწევა, ან მუშაობენ გაგრაში, სოხუმში ან კიდევ სხვაგან. ორი ან სამი დღით ადრე წასვლა არჩევნებზე, შემდეგ კი უკან ასევე ორი ან სამი დღის მერე ჩამოსვლა პირველ რიგში დროის ფაქტორთანაა დაკავშირებული, მეორე კი ფინანსებთან. ქართული მხარე კი არანაირად არ ითავლისწინებს არცერთ ფაქტორს და არც ცდილობს, რომ საზღვრის გაღმა მყოფ ადამიანებს შეუმსუბუქონ ისედაც რთული გამშვები პუნქტის კვეთის პროცესი.“ - გალი, ქალი, 23 წლის.

გალელების თქმით, მათ არავინ აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ საარჩევნო უბანში უნდა მისცენ ხმა. შეიძლება გალიდან ზუგდიდში მიმავალმა გაიგონ სად უნდა მისცენ ხმა. ან იმ ხალხმა, ვინც იცის ონლაინ ამის შემოწმება, ამოწმებენ. მაგრამ ასეთი ხალხი ძალიან ცოტაა.

სოფელ ოკვინორეში მცხოვრები ქალბატონი ხაზს უსვამს, რომ ჯერ კიდევ არ დაწყებულა საარჩევნოდ ხალხის მობილიზაცია, თუმცა ის იხსენებს წინა წლების საარჩევნო პერიოდს:

“საპრეზიდენტო არჩევნების დროს, 19 წლის განმავლობაში, პირველად ვნახე ამდენი ხალხი ენგურის ხიდზე - ხალხის კოლონა იყო. მაშინ ენგურის საგამშვებო პუნქტი არ იყო ჩაკეტილი.” - ოკვინორე, ქალი, 42 წლის.

მისი თქმით, ჯერ-ჯერობით (აგვისტოში) არანარი გამოხმაურება არ ყოფილა არცერთი პარტიის მხრიდან წინასაარჩევნოდ, არც მთავრობა და არც ოპოზიცია არ გამოსულა არანაირი დაპირებებით, ან წინადადებით. მისი თქმით, პანდემიამდე არჩევნების დროს უფრო ხდებოდა პოლიტიკური პარტიების მხრიდან რაღაც დონეზე ჩართულობა, თუმცა კოვიდის პერიოდის შემდეგ გალისა და გალის რაიონს მოსახლეობას მინიმალური ყურადღებაც კი არ აქცევა.

„ტოტალურ მივიწყებულობაში ვართ. მხოლოდ არჩევნების მოახლოებასთან ერთად თითქოს და მინიმალურად ვახსენდებოდით ქართველ პოლიტიკოსებს, მარა სხვა დროს სრული მივიწყებულობა.“ - ოკვინორე, ქალი, 42 წლის.

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, არსებობს მობილიზაციის სხვადასხვა გამოცდილებებიც, როდესაც ირჩევა ერთი ან რამდენიმე ადამიანი, ვინც ხალხში ავრცელებს აზრს რომ ქართულ ოცნებას მისცენ ხმა, პარტიის ფინანსური მხარდაჭერით ის უზრუნველყოფს ამომრჩევლის ტრანსპორტირებას, თუ საჭირო გახდა მათ დაბინავებას, კვებას და ერთჯერადად თანხის გადახდას.

„ისიც გამიგია, რომ ვიღაცები ტომარა ხახვითა და კარტოფილით დაბრუნდნენ სოფელში. იქნებ ეგ ტომრები იყოფა მერე რამოდენიმე ოჯახზე, ან შეიძლება თითო ოჯახს გადაეცა თითო ტომარა ხახვი და კარტოფილი, ასევე ზეთი და წიწიბურა. მოკლედ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ფინასნურ და ლოჯისტიკურ გამოწვევებს, ოცნება იქვე აგვარებს, ოღონდ მოიპოვოს დამატებითი ხმები.“ - ოკვინორე, ქალი, 42 წლის.

4. მთავარი მიგნებები

- განგრძობადი დევნილობის პირობებში დევნილები კვლავ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ბარიერებს აწყდებიან. ისინი არ არიან ჩართული საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად.
- ხელისუფლების არც ერთ დონეზე არ არსებობს დევნილების მონაწილეობის ხელშემწყობი მექანიზმები და პლატფორმები, რომელიც მათ საშუალებას მისცემს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მოახდინონ გავლენა.
- დევნილებს არ აქვთ ან/და სათანადოდ არ არიან ინფორმირებულები პოლიტიკურ/საჯარო ცხოვრებაში ფორმალური მონაწილეობის პლატფორმების შესახებ, არ აქვთ გამოცდილება ან არ სმენიათ არც ერთი საკონსულტაციონ პლატფორმის შესახებ, სადაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება და გადაწყვეტილების პროცესში ჩართულობა, მათ შორის არც სამშვიდობო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ინფორმაციის წყარო მათთვის დევნილთა საინიციატივო ჯგუფებია, თუმცა რიგ შემთხვევაში მათაც დაგვიანებით მიეწოდებათ ხოლმე ინფორმაცია.
- არ არსებობს დევნილთა ჩართულობის ქმედითი მექანიზმები აფხაზეთის დე იურე სამთავრობო უწყებების დონეზეც კი.

- დევნილების დაკვირვებით, პოლიტიკურ პარტიებს და ხელისუფლებას ისინი მხოლოდ წინასაარჩევნოდ ახსენდებათ, თუმცა ასევე აღნიშნავენ რომ წლევანდელ არჩევნებზე ეს აქტიურობაც მათი მხრიდან ნაკლებია.
- ისტორიულად დევნილთა აქტივიზმი/პოლიტიკური მონაწილეობა მათ საცხოვრებელ და სოციალურ პირობებს უკავშირდებოდა და ნაკლებად იყო ფართო პოლიტიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებული. დევნილთა დიდ ნაწილში ჩამოყალიბდა პოლიტიკური პროცესების მიმართ აპათია და ნიჰილიზმი, რასაც ხელი შეუწყო შეუსრულებელმა დაპირებებმა. მიუხედავად დროდადრო გამართული პროტესტებისა, დევნილთა დიდმა ნაწილმა დაიჯერა რომ მათი ხმა „არავის ესმოდა“, რამაც განაპირობა დევნილთა თემის საყოველთაო/მასშტაბური იმედგაცრუება;
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა დევნილთა პოლიტიკაში ჩართულობის გენდერული განზომილებაც. გამოკითხული ქალები გამოთქვამენ სურვილს ჩაერთოდ აქტიურად საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში, მათი თქმით, იმ ქალაქებში, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ადგილობრივმა საინიციატივო ჯგუფებმა მნიშველოვანი წვლილი შეიტანეს თემის წარმომადგენელი ქალების განვითარებაში. მუნიციპალიტეტთან თუ სხვა ინსტიტუტებთან დღემდე ყველაზე აქტიური კომუნიკაცია ქალ დევნილებს აქვთ. ინტერვიუებში საუბარი იყო ქალების პოლიტიკურ მოლაპარაკებებში ჩართვის მნიშვნელობაზე, მათ შორის მშვიდობის მშენებლობის საკითხებში.
- გალელი რესპონდენტების თქმით, რაიონში პოლიტიკური პროცესებში ჩართულობის სურვილი და რეალური მონაწილეობა ძალიან დაბალია, რამდენიმე მიზეზის გამო: ფიზიკური და “სამართლებრივი” ბარიერები, რაც გადაადგილების თავისუფლებასთან არის დაკავშირებული და უზღუდავს გალის მოსახლეობას შესაძლებლობებს იყვნენ აქტიურად ჩართული პოლიტიკურ/საზოგადოებრივ პროცესებში; საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცალკეულ პროცესებში აქტიურად ჩართულობა გალელებისთვის არ არის უსაფრთხო; გალის მოსახლეობას არ აქვს ნდობა პოლიტიკური პროცესის მიმართ და მიაჩნია, რომ მათი ხმა არაფერს განსაზღვრავს, და წლებია გარიყულები არიან პოლიიტკური პროცესებისგან როგორც დე-ფაქტო ხელისუფლების, ისე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინაშე;